ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 27 (83)

10-16 ივლისი, 1992 წ.

«ძრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს» საარჩევნო ბლოკის წევრ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებს

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო! თანამემამულენო!

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სამშობლო, საქართველო დღეს იმყოფება დიდი ისტორიული გარდატეხის ეპოქაში. ჩვენ მოგვეცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული შანსი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გავივლით ამ ეტაპს, ურთიერთთანხმობითა და ერთიანობით ავაშენებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თუ ჩვენი ურთიერთქიშპობით დავღუპავთ საქმეს და დავკარგავთ ამ ისტორიულ შანსს. საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ დგას უცხო ქვეყნის საოკუპაციო არმია, მოქმედება არ შეუწყვეტია იმპერიის სადაზვერვო სამსახურს, ვერ ვაკონტროლებთ ჩვენს ტერიტორიას ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში, ჯერ კიდევ არ მოგვიხდენია კომუნისტური იმპერიის მიერ თავსმოხვეული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების სრული დემონტაჟი და არ ჩამოგვიყალიბებია მათ სანაცვლოდ დემოკრატიული ინსტიტუტები, არ შეგვიქმნია ჩვენი სუვერენიტეტის დამცველი რეგულარული ეროვნული არმია. ასეთ ვითარებაში ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს შორის შეიარაღებული კონფრონტაციის გაგრძელება სრული სახელმწიფოებრივი კატასტროფით გვემუქრება. ჩვენი საქციელისათვის დღეს უკვე გვიხდება მეტად მძიმე საზღაურის გადახდა შინაური თუ გარეშე მტრებისათვის და თუ კონფრონტაციას არ მოეღო ბოლო, ჩვენ აღმოვჩნდებით საქართველოს დღევანდელი ისედაც დამცრობილი საზღვრების კიდევ უფრო შეკვეცის რეალური საფრთხის წინაშე...

პატივცემულო დეპუტატებო!

რაც არ უნდა გამართლებულად მიგაჩნდეთ მორალურად თუ სამართლებრივად, პოლიტიკურად თუ პატრიოტული მოსაზრებით, გნებავთ, რაგინდარა სხვა თვალსაზრისით, დღევანდელი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა და ძველის აღდგენა, ვფიქრობთ, დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ უცხო ქვეყნის საოკუპაციო არმიის იარაღით, ამ მიზანს ვერ მიაღწევთ, ვერც სამართლიანობას აღადგენთ და ვერც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს დაიცავთ. უცხო ქვეყნის არმია და სპეცსამსახურები თავიანთ იარაღს მხოლოდ ქართველთა შორის ძმათამკვლელი ომის გასაჩაღებლად და ამ გზით საქართველოს დასაჩოქებლად გასცემენ და წარმართავენ. ამ სამარცხვინო ძმათამკვლელ ომში

(გაგრძელება მე-2 გვ.)

საქართველოსათვის საჩიფათო გეგმა

ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სპეციალური სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის განცხადება.

I. ეს გეგმა მიუღებელია პრინციპულად ანუ, რაც ამ შემთხვევაში პრაქტიკულად იგივეა, იგი მიუღებელია პოლიტიკურად.

1. ამ გეგმის თანახმად გამოდის, რომ რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში სხვა მეზობელი სახელმწიფოებისგან განსხვავებული უფლებები ან მოვალეობები ჰქონია: წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რითაა გამოწვეული, რომ საქართველო თავისი შინაგანი სირთულეების დასაძლევად დახმარებისათვის არ მიმართავს არც სომხეთს, არც აზერბაიჯანს, არც თურქეთს, არც ირანს, არც შავი ზღვის მიმდებარე სახელმწიფოებს, არამედ მიმართავს მხოლოდ რუსეთს.

2. შეთანხმების თანახმად გამოდის, რომ რუსეთს ჰქონია თავისი საკუთარი დაინტერესება საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების მიმართ და საქართველო ცნობს ამ დაინტერესების მართებულობასა და კანონიერებას.

3. შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიმართ იმ გარეგანი ინსტანციის როლში, რომელსაც უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს ადამიანის უფლებების დაცვისა და სხვა ანალოგიური ვალდებულებების განხორციელებას საქართველოს ხელისუფლების მიერ — ვალდებულებებისას, რომელთა აღსრულება არ წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოს მარტოოდენ შინაგან საქმეს — გვევლინება არა გაერო ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, არამედ ერთი კერძო სახელმწიფო რუსეთი, რაც ნიშნავს ამ სახელმწიფოსათვის საქართველოს მიმართ გარკვეული უფლებამოსილების მიკუთვნებას. ეს არა თუ ლახავს საქართველოს სუვერენიტეტს, არამედ პრინციპულად, უარყოფს კიდეც მას.

4. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურისათვის შეიარაღებული მოქმედების უფლების მინიჭება შეუთავსებელია საქართველოს ხელისუფლების განუყოფელ კონტროლთან საკუთარი ტერიტორიის მიმართ, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის ხელყოფას ნიშნავს.

II. ხსენებული ბატალიონის შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე სახიფათოა პრაქტიკულად.

1. ვინაიდან საქართველოში იმოქმედებს ისეთი სამხედრო მოსამსახურე, რომლის ყოფნა და შეიარაღებული მოქმედება საქართველოში დაკანონებულია საქართველოს ხელისუფლებასთან რუსეთის შეთანხმების შედეგად. რუსეთს ყოველთვის ექნება საშუალება, საქართველოს ბრალად დასდოს ზემოხსენებული შეთანხმების რომელიმე პუნქტის დარღვევა და ეს გარემოება საბაბად გამოიყენოს საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული მოქმედების გაფართოებისათვის, საქართველოს ახალი დაპყრობისა და ოკუპაციის ჩათვლით.

2. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ეროვნებისა და უცხო მოქალაქეობის მქონე სამხედრო მოსამსახურის ყოფნა საშუალებას მისცემს ამ სამხედრო მოსამსახურეს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიაზე ამა თუ იმ ანტიქართული ბანდის გაძლიერებას და საქართველოს დესტაბილიზაციას. მით უფრო, რომ შეთანხმებაში არაა განსაზღვრული ამ სამხედრო მოსამსახურის დასჯა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

თქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

ა) საქართველოსა და რუსეთის შეთანხმების ერთადერთ საგნად ცხინვალის რეგიონის კონფლიქტთან დაკავშირებით შეიძლება იყოს საქართველო-რუსეთის საზღვრის რეჟიმის ერთობლივი დადგენა საერთაშორისოდ მიღებული ნორმების საფუძველზე და მისი ერთობლივი დაცვა. როგორც ცნობილია, საქართველო-რუსეთის საზღვარი გორიალაგირის გზატკეცილს კვეთს როკის გვირაბის ჩრდილოეთი პორტალიდან რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე, ჩრდილოეთისაკენ.

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლება იმყოფებოდეს და შეიარაღებულად მოქმედებდეს არც ერთი შეიარაღებული მოსამსახურე, გარდა საქართველოს მოქალაქისა.

გ) საქართველოს ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას და სხვა პოლიციურ ფუნქციებს, აგრეთვე სამართალდამცავის ფუნქციებს არ შეიძლება აზორციელებდეს არავითარი სხვა პირი ან ორგანიზაცია გარდა საქართველოს ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფისა.

დ) ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანა ვერ იქნება დამოკიდებული ვერავითარ პირობაზე, თვით ცეცხლის შეწყვეტაზეც კი.

ე) საქართველოს არც ერთი მოქალაქე — არც ქართული ეროვნებისა და არც ოსური ეროვნებისა — არ შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე იარაღით მოქმედებდეს სხვაგვარად, თუ არა საქართველოს ხელისუფლებისადმი ცალსახა და უსიტყვო დაქვემდებარებით.

მიმაჩნია, რომ ზემოხსენებული შეთანხმების მიღება რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო ურთიერთობის საფუძვლად ან მისი ასეთად მიჩნევის მოთხოვნა რუსეთის მხრიდან არის საქართველოს მიმართ რუსეთის დიქტატის მცდელობა, რომელსაც მიზნად აქვს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო, იურდიული და პოლიტიკური პლაცდარმის მოპოვება რუსეთის მიერ საქართველოს მომავალი დაპყრობის ან საქართველოზე გავლენის მიზნით.

ამ დიქტატისათვის დათმობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სხვა არაფერი იქნება, თუ არა სრული პოლიტიკური სიბრმავე ან საქართველოს ინტერესების პირდაპირი ღალატი. რუსეთისათვის დათმობა, ზემოხსენებული შეთანხმების განხორციელების სახით, საქართველოს ვერ ააცილებს სამხედრო კონფლიქტს რუსეთთან უახლოეს მომავალში იმ შემთხვევაში, თუ გაგრძელდება რუსეთის მცდელობა საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფისა საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევის გზით. სამაგიეროდ, იგი იქნება რუსეთის დიქტატის წინაშე საქართველოს სუვერენიტეტიდან გამომდინარე პოლიტიკური და იურიდიული პოზიციების გადამწყვეტი დათმობა, რაც საქართველოს დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდება მომავალში.

სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც საქართველომ ორსაუკუნოვანი ბრძოლით მოიპოვა ამ ცოტა ხნის წინ და რომელიც აღიარებულია სხვა სახელმწიფოებთან ერთად რუსეთის მიერაც, ის ერთადერთი საყრდენია, რაც დღეს საქართველოს აქვს თავისი თავისუფლების, თავისი ტერიტორიის და ღირსების დაცვის საქმეში. ამ სუვერენიტეტის ყოველი ხელყოფა არათანასწორუფლებიანი შეთანხმების სახით საქართველოს საარსებო ინტერესთა საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება იქნება.

7.VII. 92

უკანასკნელ საათს

უკანასკნელი ინფორმაციის საფუძველზე საჭიროდ ვთვლი, რომ ჩემს განცხადებას ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების თაობაზე, რომელიც „საქართველოს“ ამ ნომერში იბეჭდება, დავსძინო შემდეგი.

საქართველოს შინაგან საქმეებში რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მონაწილეობა, რასაც გულისხმობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის და რუსეთის პრეზიდენტის 24 ივნისის შეთანხმება სოჭში, საქართველოსათვის მიუღებელი პუნქტია, როგორც უკვე ავღნიშნე განცხადებაში, მაგრამ შემდგომი მოლაპარაკება ამ შეთანხმების რეალიზაციის თაობაზე, რომელიც მიმდინარეობს საქართველოში ბატონ ე.შევარდნაძის არყოფნაში (იგი, როგორც ცნობილია, ჰელსინკში იმყოფება), შეიცავს (საორიენტაციოდ) ორ ისეთ პუნქტს მაინც, რომელიც საქართველოსთვის **კატასტროფულია.** ჯერ ერთი, არ არის ნათქვამი, რომ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა (აგრეთვე საქართველოს ხელისუფლებისათვის არადაქვემდებარებულ ოს სამხედრო მოსამსახურეთა) ყოფნა საქართველოში არის ვადიანი (მითითებულია მხოლოდ მათი გაყვანის გადაწყვეტის წესი). მეორე (და უმთავრესი): მშვიდობისმყოფელი, ინტერნაციონალური ბატალიონის (სინამდვილეში კი — ლეგიონის ანუ პოლკის, 2400 კაცი) სამოქმედო არედ განსაზღვრულია არა „დერეფანი“, არამედ კონფლიქტის ზონა, რაც შესაძლოა მიზეზი გახდეს ყოფილი ავტონომიური ოლქის თითქმის მთელი ტერიტორიის ფაქტობრივი გადაცემისა უცხო ძალთა ხელში.

კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ შეთანხმების ამ სახით ხელმოწერისა საქართველოს მიერ.

ნ. ნათაძე

ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე.

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო ბლოკის წევრ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებს

(დასასრული)

ჩვენ უკვე განვიცადეთ მძიმე ეროვნულ-პოლიტიკური მარცხი, მოუშუშებელი ჭრილობა მივაყენეთ ჩვენს ეროვნულ სხეულს და გავალაღეთ ჩვენი საერთო მტრები... მოვეგოთ გონს! ნუღარ ვიქცევით ბრმა იარაღად ჩვენი მტრების ხელში, ჩვენს ურთიერთბრძოლას ნუ ვუმსხვერპლებთ მამულს!

დავგმოთ და შევაჩვენოთ ყოველგვარი ძალადობა, ხელისუფლებისათვის ბრძოლის ყოველგვარი ძალისმიერი, არაცივილიზებული მეთოდები წარსულში, აწმყოში და მომავალში აწ და მარადის და უკუნისი უკუნისამდე! ბოლოსდაბოლოს დავადგეთ დიდი ეროვნული შერიგებისა და თანხმობისაკენ მიმავალ გზას! სამშობლოს თავისუფლებისათვის — ყველა ჩვენთაგანისათვის ამ სანუკვარი მიზნისათვის ავმაღლდეთ ყოველგვარ პარტიულ ინტერესებზე და საკუთარ თავზეც! ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები ხომ მაღლა დგას ყოველივე პარტიულ და პიროვნულ ინტერესებზე!

პატივცემულო დეპუტატებო! ამ ძნელბედობის ჟამს მოგმართავთ ამ მოწოდებით და თვითოეული თქვენგანისაგან მოველით სათანადო გამოხმაურებას, პასუხს. დღეს აღარაა დუმილისა და განზე დგომის დრო. თქვენს დუმილს, უეჭველია, სამართლიანობის აღდგენისა თუ სხვა მიზნით იარაღმომარჯვებული ადამიანები ბრძოლის გაგრძელების დასტურად მიიჩნევენ. შევიცოდოთ ეს ადამიანები, ჩვენი თანამოძმენი, შევიცოდოთ ჩვენი გატანჯული ხალხი, იავარქმნილი მამული! თქვენთვის, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის არავის ჩამოურთმევია და ვერც ვერავინ ჩამოგართმევთ უფლებამოსილებას ნებისმიერ მომენტში იმოქმედოთ სამშობლოს ინტერესების სასარგებლოდ. იარაღით იბრძვის ის, ვინც რევანშისტული სურვილითაა აღვსილი. მიმართეთ ამ ადამიანებს სათანადო მოწოდებით. ველით კოლექტიურ გინა თუ ცალკეულ დეპუტატთა გამოხმაურებას.

გაზეთ „საქართველოს“
რედაქცია

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა 26-ე ნომერში დასტამბულ ბატონ ნოდარ ხათაძის წერილში „საქართველოს დიქტატურის შავი აჩრდილი დასტრიალებს“ გაიპარა კორექტორული შეცდომა. I გვერდის, V სვეტის I აბზაცში ნაცვლად „ზნეობისა“ უნდა იყოს სიტყვა „ზეწოლის“. II გვერდის პირველ სვეტში 26-ე სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს: „რამდენიმე ორატორმა (გენერალური პროკურორის ჩათვლით) ისე მიმოიხილა პოლიტიკური ვითარება და მიხი გამოსწორების გზები, რომ არც კი გახსენებიათ კანონის უზენაესობა, უდანაშაულობის პრეზუმპცია, საჭიროებაზე წინ სამართლიანობის დაყენების იურიდიული და სოციალური პრინციპები“.

როდის დამანებებთ თავს?

ინფორმაციამოკლეგული ხალხის ფანტაზია უსაზღვროა. რაზე აღარ ლაპარაკობენ... ყველაზე პიკანტურ დეტალებზეც კი მავანთა ცხოვრებიდან. ამ ბოლო დროს ძალზე ბევრს ჰყვებიან **გია ყარყარაშვილზე**, ავსაც და კარგსაც. თვითონ გია აინუნშიც არ აგდებს მის გარშემო ატეხილ ორომტრიალს, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანს. ზუსტად ორი კვირის განმავლობაში ამაოდ ვეძებდი მასთან შეხვედრის შესაძლებლობას. ბოლოს, როგორც იქნა გამიმართლა. ჩვენ ვისხედით ნავში, რომელიც ტბაზე ნელა მიცურავდა და ვსაუბრობდით ძალზედ გულღიად, უბრალოდ. მე მოხარული ვარ, რომ ამ საუბრის შემდეგ ეჭვები, თუკი ასეთი რამ გამაჩნდა ამ ადამიანთან დაკავშირებით, სრულიად გამიქარწყლდა. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული. იმის გამო, რომ ჩემი დაუდევრობის წყალობითან არ წამიღია ფოტოაპარატი, ვერ მოვახერხე აღმებეჭდა იგი იმ მომენტში, როცა შუაგულ ტბაში წყლის შროშანას მიკრეფდა. ეს იყო ჩემი დიდი შეცდომა... ასეთი იშვიათი ფოტოსურათები, როგორც ამბობენ, ქუჩაში არ ყრია...

ჩვენი საუბარი თავიდან ცოტა არ იყოს უცნაურად წარიმართა. გიამ ჩემგან რამდენიმე შეკითხვის ნებართვა ითხოვა. ის მეკითხებოდა, მე ვპასუხობდი...

— რამ შეგაწუხა?

— რამ შემაწუხა? შენ გაინტერესებს გითხრა რისთვის მოვედი?

— დიახ...

— მაშ, ცოტა შორიდან დავიწყებ. თბილისელისთვის სამაჩაბლოს ბრძოლების ამბები ლეგენდად და ზღაპრად მოჩანს. ერთხელაც დავინტერესდი და წავედი, რომ საკუთარი თვალით მეხილა სამაჩაბლო. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დიდი ლიახვის ხეობის სოფლები მოვიარე და ხალხს ვესაუბრე. იმ სოფლებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე მესმოდა — რაც გვარდია შემოვიდა, ცოტათი ამოვისუნთქეთ, მაგრამ დაგვიბრუნეთ გია ყარყარაშვილიო. კეხველები თბილისშიც კი ჩამოსულან ამ მოთხოვნით. ეს რომ გავიგე ძალიან შევწუხდი და კიდევ უფრო მეტად დავინტერესდი. დაგიწყე ძებნა, რომ გამეგო სიმართლე პირადად შენგან...

— რატომ არ გამანებებთ თავს?

— შეიძლება ჩემი სიტყვები პომპეზურობად მოგეჩვენოს, მაგრამ სიმართლეს ვერსად გაექცევი. შენ იმ ხეობის ხალხს სჭირდები, საქართველოს სჭირდები. იქ გელოდებიან და ამბობენ, რომ ვიდრე შენ იქ იყავი, ოსები ამდენს ვერ ბედავდნენ. ესე მითხრეს კეხველებმა სიტყვა-სიტყვით.

(გიამ ხელი უიმედოდ ჩაიქნია, მცირე ხნით ტალღებს გაჰყურებდა, მერე მიპასუხა.)

— სამაჩაბლოში დავბრუნდები, მაგრამ არა როგორც სარდალი ანდა გვარდიელი, არამედ როგორც გია ყარყარაშვილი.

— ეს ნიშნავს, რომ შენ სამუდამოდ უარს ამბობ სარდლობაზე?

— სიტყვას აღარ გადავალ.

— ?!

— თუ გინდა დავიფიცებ. სამაჩაბლოში დავბრუნდები მხოლოდ იმიტომ, რომ ის ხალხი იმსახურებს ამას. სახელმწიფო საბჭო კი-არა. სახელმწიფო საბჭო არც საქართველოა, არც სამაჩაბლო და არც იქ მცხოვრები ადამიანები.

— 21 ივნისს შენსა და ბატონ შევარდნაძეს შორის გაიმართა დიალოგი. ბევრს ეგონა, რომ მეორე დღესვე დაბრუნდებოდი სარდლის პოსტზე. მაგრამ ასე არ მოხდა. ვერ შეთანხმდით?

— ეს იყო ჩვეულებრივი შეხვედრა. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ დაიბარა რიგითი მოქალაქე და მე, როგორც ყველას, უფლება არ მქონდა არ დავმორჩილებოდი. საუბარი შეეხებოდა ჩემს დაბრუნებას გვარდიაში. ეს იყო ძალიან უბრალო, ადამიანური ლაპარაკი. ძალიან მესიამოვნა და გახარებულიც გამოვედი იქიდან. მან მომცა გარკვეული, წესიერი რჩევები. შევარდნაძემ ითავა საქართველოს სწორ გზაზე დაყენება, მაგრამ მაინც ჯერ არც ის არის საქართველო და არც სახელმწიფო საბჭო. გამსახურდია იმან დაღუპა, რომ თავისი თავი ეგონა საქართველო. რაც შეეხება შეთანხმებას... მე შესათანხმებელი არაფერი არ მქონია არავისთან, როცა უარი ვთქვი სარდლობაზე და წამოვედი. ისე ნურავინ გამიგებს, რომ თავს ვიფასებდე.

— გამსახურდია ახსენე და გამახსენდა. გასული წლის დეკემბერში, ვიდრე თბილისში ომი დაიწყებოდა, რატომ შეხვედი სამაჩაბლოში? ვინმეს ბრძანებას ემორჩილებოდი თუ...

— საკუთარი სურვილით. მე მოხარული ვარ, რომ ეს იყო ერთადერთი დღე, როცა მარტო ჩემს თავს გავუწიე ანგარიში, ერთადერთხელ შევეკითხე საკუთარ თავს და არავის ჭკუაზე არ გამივლია, თუმცა ძალიან უნდოდა ეს „ბ-ნ. ზვიადს“. ერთი კია, ვერავინ იტყვის, რომ თუკი საქართველოს სჭირდება, მე ვინმე დამასწრებს ტყვიის გასროლას.

— გია, მაინც რა ხდებოდა დეკემბერში სამაჩაბლოში, როცა იქ შეხვედი?

— არაფერიც არ ხდებოდა. მაშინაც, ისევე როგორც ეხლა, ხელოვნურად იძაბებოდა სიტუაცია.

— დავუშვათ, მაშინ გამსახურდიას სჭირდებოდა ქვეყანაში ყოფილიყო დესტაბილიზაცია...

— ახლა, ახლა ვიღას სჭირდება?

— არ ვიცი, დავიბენი, ეხლა უკვე ვინ მართავს სიტუაციას, აღარ ვიცი.

— გამოდის, რომ გვინდა თუ არ გვინდა მართვადია ეს ომი?

— მართვადიც არის და კარგად დადგმული სპექტაკლიც.

— ჩვენში თეორეტიკოსი პოლიტიკოსები თვლიან, რომ ცხინვალის რეგიონის პრობლემების მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით შესაძლებელია...

— მეც ასე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია. ყველა ომი ბოლოს ზავით თავდება. მაგრამ მოლაპარაკებისათვის მაგიდას უნდა მიუჯდეს ის, ვინც სამაჩაბლოშია ნამყოფი და იქაური ამბები იცის. მარტო მეღვრეკისამდე მისვლა, სამაჩაბლოს გაცნობას არ ნიშნავს.

— ვლადიკავკაზის შეხვედრას როგორ უყურებ?

— ინტელიგენციის ის წარმომადგენლები ვინც იქ იყვნენ, ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, მარიკა ლორთქიფანიძე თუ სხვები, შესანიშნავი ადამიანები არიან, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ის კაცი, ვინც რეალურად არ იცნობს სამაჩაბლოს პრობლემას, ვისაც 3 დღის განმავლობაში მაინც არ მოუსმენია სამაჩაბლოელი ქალის წყევლა, ვერ გადაწყვეტს შერიგება— არ შერიგების საკითხს. აზრი უნდა ჰკითხონ იმას, ვინც იცის, რა ხდება სამაჩაბლოში.

— შენთან თუ მოსულა ვინმე აზრის საკითხავად?

— მთავრობიდან არავინ. ისე კი, ბევრი...

— შენ ამბობ, რომ მოლაპარაკების გზით შესაძლებელია ცხინვალის კონფლიქტის მოგვარება, თუმცა ეს, ალბათ, თავისთავად გულისხმობს რაღაც კომპრომისებზე წასვლას...

— რა თქმა უნდა, მაგრამ არა ჩვენი მხრივ. ამ დასკვნამდე ოსები უნდა მივიდნენ. დათმობა მათ სჭირდებათ და არ ჩვენ.

— დავუშვათ მოწესრიგდეს ცხინვალის პრობლემა...

— ომი არც ეგრე მალე დამთავრდება. ცხინვალის კონფლიქტი რომ მოგვარდეს, ამისათვის, ალბათ, საჭიროა ომის ეპიცენტრი სხვაგან იქნას გადატანილი. სამაჩაბლოს საკითხი არც თბილისში წყდება, არც ცხინვალში და არც სამაჩაბლოში.

— მაშ სად?

— ვერ გავარკვიე. ახლა მე გაძლევ შეკითხვას და თუ შეიძლება მიპასუხე: ვინ აძლევს ოსებს ტყვიაწამალს, საჭმელს, სასმელს, განათებას, საწვავს, როცა სამი წელიწადია მიდის ომი, ათეულ ათაობით დევნილია და რაც ყველაზე მთავარია, როგორც ოსები ამბობენ, ყველა მათი სოფელი გადამწვარია... მე როცა ბატალიონის შეთაური ვიყავი, მახსოვს, 500 კაცს, ყოფილა შემთხვევა 5 ტყვია არ გვქონია, ფულიც არ გვქონია, რომ შეგვეკრიბა და გვეყიდა. გეკითხები, ვინ აძლევს?

— რუსეთი, ამას არც მალავს.

— მაშინ ახლა, ასეთ რამეს შეგეკითხები: რატომ მისცა რუსეთმა ოსებს 12 თვითმავალი ქვემეხი მას შემდეგ, რაც ოსური ფრისი და ტეკი დავიკავეთ? მანამდე მიეცა, ვიდრე ჩვენ შევიდოდით...

— არ ვიცი.

— მე ვიცი, მაგრამ მაგაზე ფიქრი რომ მდომოდა ვაკის პარკში ანდა რესპუბლიკის მოედანზე მნახავდი მიტინგზე და არა ბაზალეთის ტბაზე.

— გია, რას ამბობ?

— ჯერ არ ვიცი, ერთი სურვილი კი მაქვს, რომ ყველანაირად ავარიდო თავი ყველაფერს, რათა რაიმე შეთქმულებაში მონაწილეობად არ ჩამითვალონ.

— განა ამის საშიშროება გვემუქრება?

— აბა, 24 ივნისს, ტელევიზიის შემთხვევა რა იყო?

— სხვათაშორის, მაგ დღეს ტელევიზიასთან მდგარმა არაერთი ადამიანისგან მოვისმინე — შურღაიას ყარყარაშვილი შეჰპირებია, დაგეხმარებიო და მერე მაინც უღალატაო...

— ვიცი, ეგ პირველი შემთხვევა არ არის. როგორც კი ომის საშიშროება შეიქმნება ხოლმე, ხმებს მიყრიან, ყარყარაშვილი გაგვიდგაო, მაგრამ როგორც კი ავტომატით ხელში დამინახავენ, დაასკვნიან — არ უღალატიაო. ტელევიზიასთანაც ასე მოხდა.

— ჩვენ ამჟამად მთელ რიგ გარემოებათა გამო ისე არა ვართ განებივრებულნი, რომ არჩევანი დავიწყოთ. მაინც, როგორ ფიქრობ, სამხედრო სამსახურში გაწვევის რომელი სისტემა სჯობს, საკალდერის? საქართველოს სჭირდება არჩევნები. ყველა, ვინც არჩევნების ჩატარებით დაინტერესებულია, ნამდვილი ქართველია. ჯერჯერობით ყველაზე მეტად მოწადინებას შევარდნაძეს ვატყობ.

— ისე, როცა ადამიანი თავის ნალოლიავებ რამეს ერთი ხელის მოსმით ანადგურებს, გულის სიღრმეში მაინც რჩება სინანულის გრძნობა. არ ნანობ, რომ გვარდია მიატოვე?...

— შენ როგორ ფიქრობ, რა არის გვარდია? (აქეთ მეკითხება)

— გვარდია?...

— გვარდია არის რამოდენიმე ათეული და ასეული ადამიანის ერთად ყოფნა, რასაც მინდა სასულიერო სახელს დავარქმევ, მინდა საეროს. აქედან გამომდინარე, მე გვარდიის სარდლობა მივატოვე, ხელები კი არ მომიჭრია ჯერ ძირში, გულიც ისეთივე მაქვს, როგორც ახალგაზრდობაში და არც მეგობრებთან კავშირი არ გამიწყვეტია.

(არადა ის სულ 25 წლისაა და რამდენი რამ მოასწრო).

სადაც მე არ ვჭირდები, იქ არ დავდივარ. დაგჭირდი? მომძებნე და მოხვედი. დაგჭირდები კიდევ? დამიძახე — მოვალ...

— „თეთრ არწივს“ რა ეშველება? ბიჭებზე არ ფიქრობ?

— თავიანთ ბედს თვითონ გადაწყვეტენ, ამაზე უმჯობესია, იმათ შეეკითხო.

— გორში რა მოხდა, გია? თუ შეიძლება, რა თქმა უნდა, ამაზე საუბარი...

— თქმით კი შეიძლება ვთქვა, მაგრამ ვის აინტერესებს? მე პირადად, ვერავის შევატყვე საქართველოში განსაკუთრებული ინტერესი მაგ საქმის გამო აწ განსვენებული გვარდიელების ოჯახებისა და მათი ახლობლების გარდა.

მარინა ტლაშაძე

დედებო, ვუშველოთ საქართველოს!

გუმანით, ალბათ, ყველამ იცის, მშობლისათვის შვილის სიკვდილზე უმძიმესი არაფერია. მაგრამ, ვისაც ეს არ გამოუცდია (და ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს!), ღრმად მწამს, ამ საშინელებას იგი მიახლოებითაც ვერ გაიგებს. მათთვის უცნობი და წარმოუდგენელია იმ მრავალშვილიანი მშობლის გაუნელებელი სიმწარეც, რომელსაც შვილი უკვდება, რომლის გადასარჩენად მას, საშუალება ჰქონდა და, არაფერი დაუკლია. მაშ, ვინ გაუგოს იმ დედას, რომელსაც ერთადერთ ვაჟიშვილს, საღსალამათს, მის დაქორწინებასა და გამრავლებაზე ყოველ წუთს სიამით რტმ ფიქრობს, ქუჩაში, თვალწინ, რევოლვერით მოუკლავს თავნებად გაზრდილი, იოლი საშოვრით გაზულუქებული, სამართალდამცავი ორგანოს მოწმობით აღვირახსნილი, სიმთვრალით სისხლმოწყურებული ახალგაზრდა, უკაცრავად პასუხია, კაცი, რომლის ხელში ცეცხლმსროლელი იარაღი გასართობ საგნად ქცეულა. მოკლავს ტყუილუბრალოდ, ისე, რომ მას არც იცნობს, არასოდეს შეხვედრია, რომელსაც იმ წუთშიაც მისთვის არც სიტყვით და არც საქმით ოდნავადაც არაფერი დაუშავებია! მოკლავს და შემდეგ გამოფხიზლებულს არათუ რაიმე სინანულის გრძნობა ეუფლება, სასჯელისაგან თავის დასაღწევად ყოველგვარ ტყუილსა და ცილისწამებას მიმართავს.

ეს უბედური დედა, რომელმაც სამსალა ბოლომდე ვიგემე, მე გახლავართ. ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილი — თენგიზ ნოდარის ძე ხუხუნაიშვილი, ინჟინერი, მომიკლა უზნეოდ გაზრდილმა მილიციის მუშაკმა — ვასილ ქიშვარდის ძე ბალამწარაშვილმა.

ჩემს ცხოვრებას რაღა გაამთელებს, და ქვეყნის დარდი რაღა ჩემი საქმეა. მაგრამ, თუ დღეს კალამს ხელი მოვკიდე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უბედურებამ ბევრ რამეზე თვალი ამიხილა და დამანახვა ის, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი, და ვერ ვგრნობდი. ახლა, როდესაც საქართველო თავზე გვექცევა, ნიღაბჩამოხსნილ მტრებთან ხელჩარჭული ომი გვაქვს, ჩვენი იმედისა და მომავლის, ახალგაზრდობის, ერთი ნაწილი სამშობლოს ეწირება, მეორე ნაწილი კი ყოველად უგუნურად უმოწყალოდ ხოცავს, ასე მგონია, ამ უკანასკნელი საშინელებისაგან ერთადერთი მხსნელი დედა, მშობელი არის. ოღონდ, არა შვილის სიყვარულით დაბრმავებული, შეზღუდული მშობელი, როგორიც ვასილ ბალამწარიშვილის მამა, ქიშვარდია. ისიც მილიციაში მუშაობს, მუშაობს დიდი ხანია და საკმაოდ მაღალ თანამდებობებსაც მიაღწია. ნაცვლად იმისა, რომ ამ პროფესიის კაცს სწორად შეეფასებინა თავისი შვილის შესაძლებლობანი, ხასიათი, ბუნება და იგი შესაფერის საქმეში ჩაება, ყოველივე ეს არარად ჩააგდო და ხელთ მას საშიში იარაღი მისცა. ახლა კი თავის დათესილს იმკის...

ხალხნო, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს, შევიგნოთ, რომ ამგვარი ვითარება ბევრს ჩემს დღეში, ბევრს კიდევ ქიშვარდ ბალამწარიშვილის მდგომარეობაში ჩააგდებს!

მშობლებო, დედებო, თუ გსურთ საქართველოს უკვდავება, თქვენი და თქვენი შვილების მომავალი, როგორც არასდროს, იყავით ფხიზელნი და მკაცრნი! უნდა შეაღწიოთ თქვენი შვილების გულებში და იქ ჩასახლებული სატანა განდევნოთ! არა მარტო შვილის გულის კუნჭულში, ბინის ყველა კუნჭულშიაც უნდა შეაღწიოთ და იქ გადამალული მათი უნებართვო ცივი და ცხელი იარაღი ამოიღოთ და სახელმწიფოს ჩააბაროთ, ხოლო, ვისაც საჭირო სიდინჯე და სიბრძნე არ გააჩნია, ვასილ ბალამწარიშვილივით ცეტი და თავქარიანია, უპირველესად თქვენ თვითონ ეცადეთ, არ მიუშვათ ისინი იარაღთან...

ლილი სამსონია-ხუხუნაიშვილი
მცენარეთა დაცვის რესპუბლიკური სადგურის ბიოლაბორატორიის განყოფილების გამგე.

მცირე განმარტება

გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომერში დაიბეჭდა ჩემი მეგობარი მწერლის წერილი სათაურით „მოტყუებული ზუგდიდი კი ზეიმობდა!..“, სადაც ის ერთგან ასეთ რამეს ამბობს:

„ვახსენე ერთი ჩემი მეგობრის გვარი, სად ცხოვრობს მეთქი. ხელმეორედ შეიცხადეს, შვილო ეგ კაცი სახალხო ფრონტელია, ზუგდიდიდან გააძევეს და მისი სახელი აღარ ახსენო, ფორემ ან ისევ მანქანას წაგართმევენ, ან სიცოცხლესო... მაგის ნათესავი ცხოვრობს ამ ქუჩაზე და იქნებ იმან შეგიფაროსო. ასეც მოხდა, აღმოვჩნდი მრავალშვილიან ახალგაზრდა კაცის ოჯახში, რომელმაც დაგვაპურა მე და ჩემი მეუღლე, მოგვასვენა და თავის ნათესავთან ერთად მთელი ღამე ფეხზე მდგარი იცავდა ხტუმრის სიმშვიდეს...“

მადლობის მეტი რა მეთქმის ჩემი მეგობრისადმი, რომლისაგანაც ისედაც უზომოდ დავალებული ვარ გაჭირვებისას რომ იმედად დამიგულვა, მაგრამ სიტყვა „გაძევებული“ აქ არასწორად ზის კონტექსტში და მინდა განვმარტო.

მე ზუგდიდიდან არათუ არავის გავუძევებივარ, დღესაც ისევე მშვიდად დავდივარ ჩემი მშობლიური და უსაყვარლესი ქალაქის ქუჩებში, როგორც წინათ. რაც შეეხება ზვიადისმოყვარე გაკაპასებული ქალების მიერ ზუგდიდის ქუჩებში უკანმონაძახებ სიტყვას .— „მოღალატე“, კრიტიკოს თამაზ წივწივაძის დარად მეც უფრო ჯილდოდ აღვიქვამ, ვიდრე შეურაცხყოფად და თუ რატომ ეს ყველა გონიერმა ქართველმა იცის.

ჩემი ზუგდიდიდან დედაქალაქში გადმოსვლის ერთერთი (და არა ერთადერთი) მიზეზი იყო სიფრთხილე, რომელსაც, როგორც ჩვენი ბრძენი წინაპრები იტყოდნენ, თავი არ სტკივა, რადგან არსებობდა საკმაოდ დიდი ალბათობა იმისა, რომ ჩემი ზუგდიდში დარჩენის შემთხვევაში განმეორებულიყო შეიარაღებული თავდასხმა ჩემს ოჯახზე, რომელსაც ღვთის წყალობით, უვნებლად, ტყვეობა რჩით. არადა, ოთახში, რომელსაც 10—15 წუთის განმავლობაში ორი ავტომატიდან და ერთი შაშხანიდან განუწყვეტელი სროლით ცხრილავდნენ ყოფილი პრეზიდენტის მომხრე ვითომც მამულიშვილები, ჩემი ორი შვილი იმყოფებოდა. ბედად მათ მოასწრეს იატაკზე გაწოლა.

როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ მე მქონდა ზნეობრივი უფლება ჩემი ოჯახის წევრთა სიცოცხლე საფრთხეში ჩამეგდო? ჩემი იქ არყოფნით კი მე ისინი საფრთხეს განვარიდე (მადლობა ღმერთს, ოჯახის წევრებს არ ერჩიან). ესეც არ იყოს დედაქალაქში სამუშაოდ და საცხოვრებლად გადმოსვლა კარგა ხნის წინათ მქონდა გადაწყვეტილი, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემთვის, როგორც მკვლევარი-ისტორიკოსისათვის აქ ბევრად ნოყიერი ნიადაგია სამეცნიერო მუშაობისათვის და გნებავთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვისაც. ასე რომ, ყოფილი პრეზიდენტის განსჯისუნარდაკარგული შომხრეების მიერ ჩემი ოჯახის წევრთა სასიკვდილოდ გამეტებამ, მხოლოდ დააჩქარა ჩემი გადმოსვლა თბილისში, რაც სრულებით არ ნიშნავს ჩემს განზე გადგომას. მეტიც, მე ვიყავი, ვარ და ყოველთვის ვიქნები ტოტალიტარიზმის დაუძინებელი მტერი, რა სახითაც და ფერითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი. ჩემთვის ერთნაირად მიუღებელია როგორც ზვიადიზმი, ეს ავტორიტარული დიქტატურის კარიკატურული სახე და პოლიტიკაში ჩაუხედავი ქართველობისათვის გონებადამბლველი ბანგი, ასევე ზვიადოფობიაც, რომელსაც ძებრძოლი ბოლშევიზმის საშიში ფერი დაჰკრავს.

აბესალომ ტულუში
საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი

საწუხარი ყველას ერთნაირად გასჩენია — დიდსაც და პატარასაც. ტკივილი დღითიდღე მატულობს. ტკივილი შიმშილისა, უმუშევრობისა, მიუსაფრობისა და სულიერი დაკნინებისა. სად იქნება დასასრული, ვინ იცის? ვინ იტყვის?.. დაუნდობლობა მძვინვარებს ირგვლივ, სიცოცხლე ჩალის ფასად იყიდება. იშვიათად თუ სადმე გაიგონებთ სიტყვებს — სათნოება, სიკეთე. აღარავინ ეძებს ბავშვის თვალებში „ტაბულა რაზას“. ალბათ, აზრი არცა აქვს მის ძებნას. ბავშვის თვალებშიც იგივე უსასოობა ირეკლება. სიტყვით ხშირად იხსენებენ ღმერთს, საქმით არც თუ ისე ხშირად. ზნეობა გვენგრევა თავზე და ჩვენთან არს ღმერთიო, გავიძახით. ტყუილმა სასიცოცხლო ფუნქცია შეიძინა. ატყუებენ სხვასაც და საკუთარ თავსაც, თუკი საჭიროა. წარსული ნანგრევებში მოექცა, მომავალზე ხალხი თითქოს აღარ ფიქრობს. მარტო აწმყოთი ცხოვრება როდემდე შეიძლება... როდემდე?

ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე

როსტომ ჩხეიძე

გაზეთ „თბილისის“ წლევანდელ 14 და 30 იანვრისა და 10 თებერვლის ნომრებში გამოქვეყნდა სამი სტატია ბატონ როსტომ ჩხეიძის წერილების ციკლიდან „ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე“. ეს ციკლი ეყრდნობა საგამოძიებო და სხვა დოკუმენტურ მასალებს და წარმოადგენს ერთ ნაწილს მკვლევარის ძიებისას ამ სფეროში. ციკლის ეს სამი სტატია ეხებოდა 1942 წლის შეთქმულების, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის იდეურ საფუძველსა და ორგანიზაციულ სტრუქტურას, აგრეთვე, ცალკეულ საგულისხმო საკითხებს. ციკლის დანარჩენი სტატიებიც თანმიმდევრულად უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, ქაღალდის მეტისმეტმა გაძვირებამ, მოგეხსენებათ, ერთობ დააზარალა გაზეთი „თბილისი“. განახევრდა მოცულობა, რის გამო, ავტორის თხოვნით ციკლის — „ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე“ — დანარჩენი რამდენიმე სტატია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდება.

შეთქმულთა შორის ზოგს თუ გერმანელების იმედი ჰქონდა, ზოგს — „უფრო ინგლისელებისა. კოტე ჯოგლიძეს ინგლისელებისა უფრო სწამდა. თუმც ოცნებად ის ესახებოდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა ყოფილიყო და არა ვინმეს ვასალი (ასეც განუცხადა გამომძიებელს), მაგრამ ჯერჯერობით, იმ ისტორიულ პირობებში რაკი სხვა გზა არა ჩანდა და ვინმეს უნდა შეკედლებოდნენ, ისევ ინგლისს არჩევდა. სახელმწიფო წყობილებაც იმისი მოსწონდა: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული (მონარქიის აღდგენაზე ან საერთოდ არ უფიქრია, ანდა შესაძლებლად აღარ მიაჩნდა). ეს თვალსაზრისი იყო, გიორგი ქადაგიძეს რომ გაუზიარა, მას კი ადამ ბობლიაშვილისათვის უთქვამს. ასე რომ, საფიქრებელია, ამ იდეას არამარტო შეთქმულთა, არამედ სამანისტთა შორისაც ეტრიალა.

გურამ მისაბშვილის ბინაზეც ბჭობდნენ გერმანია-ინგლისის ირგვლივ: თუ რომელი ორიენტაცია აერჩიათ. თვითონ ზურაბი გერმანიას ემხრობოდა, გიორგი ახობაძეს უთქვამს: მეორე მსოფლიო ომში ინგლისი გამოიჩენს რეალურ ძალას და გაიმარჯვებსო. მიხეილ კაციტაძე არ დათანხმებია: გერმანიამ უკვე გამოიჩინა რეალური ძალა, რამდენიმე გამარჯვებაც მოიპოვა და საბოლოოდაც გაიმარჯვებსო.

გარდამავალ პერიოდში საქართველო მაინც გერმანიის პროტექტორატის ქვეშ ესახებოდათ. რაკან „გარდამავალ პერიოდს“ ახსენებენ, გერმანელთაგან თავის დაღწევის იმედიც ასულდგმულებთ. მითუმეტეს, რომ ფაშიზმი აეჰვებთ, მასში გახლართვაც არ ეჭაშნიკებათ (ვაითუ ვეღარც მოიცილონ ეგრე ადვილად) და აბო ფარეშიშვილი ყველას ეუბნ გამოთქმდა: კიცით კია, რას წარმოადგენს ეს ფაშიზმი?

ყოველ შემთხვევაში, იმედი რომ უღვივოდათ, გერმანია არ გაგვაცამტვერებსო, გავრცელებულ ხმებსაც ითვალისწინებდნენ და აკრძალულ ლიტერატურასაც ეცნობოდნენ.

— შენ ფიქრობ, რომ გერმანელები საქართველოსაც ისევე მოექცევიან, როგორც სხვა ხალხებს? — ეტყვის მიხეილ იმერლიშვილი იოსებ იმერლიშვილს — რას ნიშნავს, რომ არ წაგიკითხავს ჰიტლერის თეორია რასების შესახებ. იგი ქართველებს აკუთვნებს გერმანულ რასას. ამასთან, ჰიტლერთან მდივნად მუშაობს ქართველი როზაქიძე. ამიტომ საქართველოში არ მოსპობს და გაანადგურებს ხალხს.

ჰიტლერის ეს წიგნი, რასაც მიხეილი გულისხმობს — „ჩემი ბრძოლა“, იმხანად ჩვენში მაინც დამაინც უცნობი არ ყოფილა. მის მოსაზრებებს ყურადღებას აქცევდნენ და უკვირდებოდნენ. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, დიმიტრი ბურდიაშვილის უბის წიგნაკებში ორ ასეთ ჩანაწერს რომ ვაწყდებით: „ჰიტლერმა თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა“ ჩამოაყალიბა რასიული თეორიის ნიშნები. წმინდა რასით გერმანელს ახასიათებს: ცისფერი თვალები, წვრილი და მაღალი ტანი, ღია თმა, გრძელი ცხვირი. ვინც ამ ნიშნებს არ აკმაყოფილებდა, დაითხოვეს სკოლიდან და ასეთებით შეავსეს. თვითონ კი არ აკმაყოფილებენ ამ ნიშნებს“. გარდა ამ წიგნისა, შეთქმულები იცნობდნენ სხვა წიგნსაც „ნოსკედან ჰიტლერამდე“. დაკითხვისას ვიღაც გამოტყდება, თურმან შანშიაშვილი რედაქციაში მალულად კითხულობდაო. ვინც გერმანული ენა იცოდა, ისინიც უოუოდ წაიკითხავდნენ, ხოლო სხვებს დეტალურად უამბობდნენ...

სამხედრო ნაწილში ყოფნისას თურმანი შტაბში მსახურობდა (მის იქ მოწყობაზე შეთქმულებს საგანგებოდ უზრუნიათ) და გერმანულსა და თურქულ რადიოგრამებს შიფრავდა — გერმანულს თვითონვე, თურქულს — სხვების დახმარებით და მათ შინაარსს უმალვე მეგობრებს აცნობებდა ხოლმე. კოტე ჯოგლიძემ დაავალა, როგორმე რადიოკავშირის დამყარებას ეცადე გერმანულებთანო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, ისევე, როგორც ვერ შესრულდა კოტეს მეორე ჩანაფიქრი, რაც გიორგი ძიგვაშვილს დაავალა: კარგი იქნება, ინგლისელთა მფარველობის ქვეშ თუ ვიქნებით და საინტერესოა ვიცოდეთ მათი აზრი ამის თაობაზე. შენ, როგორც ინგლისურის მცოდნეს, შეგიძლია დაუკავშირდე ინგლისელთა სამხედრო მისიას და მოელაპარაკო.

შეთქმულები იმითაც დაინტერესებულიყვნენ, როგორი შეიარაღება ჰქონდა ხელისუფლებას და გიორგი ძიგვაშვილი აპირებდა 7 ნოემბერს პარადს დასწრებოდა, რათა თვითონვე ყოფილიყო მხილველი ტანკების დათვალიერებისა; ოღონდ რადგან სამხედრო ნაწილიდან მისვლა-მოსვლა მთლად იოლი არ იყო, სხვას — ვინც თბილისში იმყოფებოდა — გაანდო შეთქმულების არსებობა და პარადზე დასწრებაც საგანგებოდ სთხოვა: რათა მერე შთაბეჭდილება ეამბნა.

ის დაკითხვისას იტყვის: ტანკების დათვალიერებაზე არ წავსულვარ და გიორგის სიტყვებისათვის მნიშველობა არც მიმინიჭებია, რადგან მისთვის ჩვეული ტრაბახით მითხრა; არადა, უნივერსიტეტში ყველა დასცინოდა, რადგან ძლიერ იყო გატაცებული ნაპოლეონ ბონაპარტეს პიროვნებით, დროდადრო განდიდების მანია შეიპყრობდა და თავს უტოლებდა, მისი ავადმყოფური ფანტაზია საერთოს ჰპოვებდა პატარა კაპრალთანო.

რასაკვირველია, ესაა თავის გადარჩენის ხერხი, თავისმართლების საშუალება, თუ რატომ არ აცნობა ხელისუფლებას მისი საწინააღმდეგო შეთქმულების არსებობა (მაინც არაფერმა უშველა და გადასახლება მიუსაჯეს) და ამიტომ მისი სიტყვები პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, არ უნდა დავიჯეროთ, რომ გიორგი ძიგვაშვილს თავი მართლა ნაპოლეონი ეგონა, მითუმეტეს, კაცი, ვინც თავისი სამშობლოს გადარჩენაზე ფიქრობს, შეუძლებელია ბონაპარტეს ედარებოდეს, რადგან მან თავისი კორსიკა კი არ გამოიხსნა, პირიქით, უფრო დააკაბალა და საფრანგეთის კანონიერ ნაწილად შერაცხა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ გიორგი ძიგვაშვილი ქვეყნის გადარჩენის რწმენით იყო ანთებული და მხსნელადაც ესახებოდა თავი. ისევე, როგორც სხვა შეთქმულებს და კიდევ სხვებსა და სხვებს — ზოგს დაღუპულთ, ზოგსაც გადარჩენილთ, სხვაგვარად წინააღმდეგობის სული ქვეყანაში ვერ იარსებებდა. აკი ზურაბ მისაბიშვილიც ამას ამბობდა: როგორც ღრმა პატრიოტი, სულ ჩემს სამშობლოზე, საქართველოზე ვფიქრობდი, ვოცნებობდი მისი მხსნელი ვყოფილიყავიო... თუ არა ეს რომანტიული განცდა, თავს საფრთხეში ვინ ჩაიგდებდა. უბრალოდ გიორგი ძიგვაშვილი, როგორც შედარებით უფრო ემოციური და ექსცენტრიული პიროვნება, ამ განცდას უფრო გამოკვეთილად, უფრო არტისტულად გამოხატავდა. ალბათ ყურადღებაც ამიტომ მიიქცია.

დიმიტრი ბურდიაშვილის უბის წიგნაკები ვახსენე... დიმიტრი გახლდათ პირველი, ვინც შეთქმულთაგან დააპატიმრა უშიშროების კომიტეტმა. ეს მოხდა 1941 წლის 20 დეკემბერს და, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი ქონდათ, შეთქმულების გაცემა მისთვის დაებრალებინათ: თითქოს მან ჩაყარა მეგობრები, ვისაც თანდათან წამოკრეფდნენ. მაგრამ ეს არავის დაუჯერებია, შეთქმულთათვის ნათელი იყო, რომ სულ სხვებს მიუძღოდათ წვლილი მათ შეპყრობაში და დიმიტრის სახელი არ შელახულა, რაკიღა თავიანთ სასარგებლოდ ვერ გამოიყენეს, კიდეც დახვრიტეს...

ხოლო წიგნაკებში, რასაც შეთქმულებამდე ხუთი-ექვსი წლით ადრე ავსებდა, სხვადასხვა სახის ჩანაწერებია: საქართველოს ისტორიის კონსპექტური მონახაზი უძველესი დროიდან (აღნიშნულია ყველა ძირითადი ეპიზოდი და საფიქრებელია კონსპექტი უფრო ჭაბუკის დიდ ინტერესს გამოხატავდეს საქართველოს ისტორიისადმი, ვიდრე გამოცდისათვის მზადებას), ამონაწერები ჩინურ კუდერობაზე, ბალზაკისა და ტოლსტოის გამონათქვამები, ორიოდე პოლიტიკური ანეკდოტი, ხალხში გაგონილი ცალკეული ფრაზები, რაც ფრთიანად მოსჩვენებია, და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ზოგიერთი პირადი განცდა და ფიქრი.

1936 წლის 4 მარტს ჩაუნიშნავს, „ყოველთვის ამოგლეჯილ ციტატას, ზეპირად თქმულს თუ წერილობით ძეგლში მოყვანილს, ადამიანი ფერო-ინტერესით კითხულობს და მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე დედანში ამოკითხვის დროს“, და ეს თვალსაზრისი ცხადყოფს, რა მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ამოკრეფილ ციტატებს, რაც მთლიანი ქსოვილიდან გამოცალკევების მერე ახლებურად უნდა აკიაფებულიყო. ალბათ ამიტომაცაა ასეთი საინტერესო ამგვარ ჩანაწერთა თვალიერება: ზოგიერთ ფრაზას პირველად ეცნობი, ზოგიც ნაცნობია, მაგრამ ასეთ მნიშვნელობას არ ანიჭებდი, ზოგიერთის გაშო კი თურმე შენც ასევე გიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ არ ამოგიწერია...

ჩანს, ჩინური კულტურა სხვა კულტურაზე მეტად ყოფილა მახლობელი დიმიტრისათვის და იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ: „ხალხი, რომელმაც პირველად გამოიგონა თოფის წამალი, წიგნის ბეჭდვა, ფაიფურის და ქაღალდის გაკეთება, მომავალშიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას კულტურების განვითარების საქმეში“... განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუნიჭებია იმისთვის, რომ მე-19 საუკუნის მწერალს ლიო-ჩი-ფუს დაუწერია 825 რომანი და 2425 ფილოსოფიური ჭეშმარიტება წარმოუთქვამს. ეს ცნობა ისევე საგანგებოდ ჩაუნიშნავს, როგორც ის, რომ: პირველი ჩინური გაზეთი, უპირველესი მთელ მსოფლიოში, გამოვიდა მერვე საუკუნეში... ჩინური გვარის აგებულებითაც დაინტერესებულა: „ჩინური გვარი სრულიად სხვა გზით წარმოსდგება. პირველი მარცვალი გვარს ნიშნავს, მეორე — მერამდენე თაობაა, მესამე — მებისაგან განმასხვავებელს. ასე იქნება ლიო-ჩი-ფუ. შეიძლება წყვილ-წყვილად ხმარებაც“.... ეს ორი ლეგენდაც მოსწონებია, ერთი ჩინეთის ულამაზესი ქალის იდეალადქცეულ[illegible]ფეიზე, ვისი სიყვარულ[illegible] მოც იმპერატორმა მთლიანად მიანება სახელმწიფო საქმეებს თავი, ქვეშევრდომნი აუჯანყდნენ და განდევნეს სატრფოსთან ერთად, და იან-გუი-ფეიმ სიარული რომ ვეღარ შეძლო, თავი მოიკლა... ხოლო მეორე — ორ სიამელ დაზე, რომელთა ნაცრემლზეც ბამბუკი აბიბინდა.

ბალზაკისა და ტოლსტოის „გაშონათქვამები ამ ყაიდისაა: „როცა ადამიანს ჰგონია სრულყოფას მივაღწიეო, მხოლოდ ნივთები გადაუადგილებია“, „ყველა ჩვენგანს წარმოდგენილი აქვს, სხვებზე მეტს ვიტანჯებიო“, „სიყვარული გულუბრყვილო წყაროა, რომელიც მოჩხრიალებს მწვანე მოლის, ყვავილების, კენჭების კალაპოტში, შემდეგ რუდ იქცევა,ბოლოს მდინარედ და თვალუწვდენელ ოკეანეს ერთვის. სადაც უსრული გონების ადამიანები ერთფეროვნებას ხედავენ, ხოლო დიდბუნებოვანნი იფლობიან — განუწყვეტელი ჭვრეტის დროს“, „რა მნიშვნელობა აქვს წლებთა სიმრავლეს, თუ ერთს ღამეში, ერთ საათში მშვიდობიანობის და სიყვარულის მთელ სიცოცხლეს ამოვწურავთ“ (ბალზაკი)... „არის ხოლმე წუთები, როცა მომავალი ადამიანს ისე ბნელი ეჩვენება, რომ ეშინია მასზე შეაჩეროს გონების თვალი, სრულიად წვეტს მასზე გონების მოქმედებას. და ცდილობს თავი დაარწმუნოს, რომ მომავალი აღარ იქნება და წარსულიც არ იყო“, „იცით საიდან წარმოსდგება თქვენი გაუბედაობა? ჭარბი თავმოყვარეობიდან, ჩემო ძვირფასო“, „მიდრეკილება ბევრი ფიქრისადმი საზიანოა“ (ტოლსტოი)...

პოლიტიკური ანეკდოტები ეს გახლავთ (ჩანაწერის დღე დაუთარიღებია — 14.VI):

1. ლენინმა დაიბარა ქართველი, სომეხი, თათარი. ქართველს ჰკითხა: რამდენი დამიჯდება, სამი დღე და ღამე რომ ვაქეიფო მთელი საქართველოს ხალხიო. ქართველმა უთხრა: მაგდენი ანგარიში არ ვიცი. შემდეგ თათარს ჰკითხა. თათარმა უთხრა: 11 მილიონიო. ლენინმა უთხრა: არაო, იბევრა. ჯერი სომეხზე მიდგა. სომეხმა უთხრა: ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვი, დამხვრეტავთო. არაო — ლენინმა უთხრა. სომეხმა უთხრა: ბევრი არაფერი დაგეხარჯება, ხუთი შაურის დარიშხანი იყიდეპური ლუკმას დააყოლე და სამი დღე და ღამე კი არა, ერთი თვე იქეიფებს ხალხიო.

2. ლენინი რო კვდებოდა, თქვა, ცოცხალი ჩიტი მომიყვანეთო. ლენინმა ცოცხალი ჩიტი გაპტყვნა და თქვა, სანამ ასე არ გაპტყვნით ხალხს, ჭკვას ვერ ისწავლიანო.

მოგეხსენებათ, რარიგ სახიფათოც იყო ასეთი ანეკდოტების ჩაწერა და დიმიტრის, ყოველ შემთხვევისათვის, შენიშვნა დაურთავს, „საბჭოთა ხელისუფლების კლასიკური მტრებისაგან არის შექმნილი ეს ანეკდოტები“ — ვითომდა, მე არაფერ შუაში ვარ და კარგადაც მესმის მტრების ხრიკებიო. მიუხედავად საშიში ატმოსფეროსი, მაინც ვერ მოუთმენია დას სხვა ანტისაბჭოთა ჩანაწერებიც შეუტანია უბის წიგნაკში: „სტალინზმი (თუმცა ამ ცნებას ჯერ არ ხმაობენ) მესამე ხარისხია, მეორეთ განაწურია ლენინიზმისა. პირველი განაწური კი ლენინიზმია მარქსიზმისაგან“ (27.VI.36); ან კიდევ — „საქართველოს მოსახლეობამ გაუგზავნა მისალმება დიდ ბე-

ლადს ამხ. სტალინს, ინდივიდუალურად ყველა ვალდებული იყო ხელი მოეწერა ამ მიმართვაზე, ერთი სტუდენტი იძახის: არა, მე ნათელას უნდა გაუგზავნო წერილი და მაძის მოკითხვაც იქ იქნებაო".

თავდაპირველად ეწერა „თავის ბელადს", მაგრამ მერე „თავის გადაუშლია" და „დიდ" ჩაუწერია, რაც აქ ფარულ ირონიას აძლიერებს, რადგან მეტად სახიერია კონტრასტი ამაღლებულის გამიწიერებისა, პარტიულ ჩინოვნიკთათვის მეტად სერიოზული პრობლემის გამასხრებისა...

დიმიტრი ბურდიაშვილი ყმაწვილური გაბედულებით შექსპირის მიმართაც კი გამოთქვამდა შენიშვნას, „რიჩარდ მესამის" ერთი სცენა არადამაჯერებელი რომ მოეჩვენებოდა: „შეიძლება ითქვას, თვით დიდი შექსპირის შემოქმედებაშიც შეხვდებით გაუმართლებელ ადგილებს. აი, მაგალითად: რიჩარდ, მთავარი გლოსტერისა (შემდეგ რიჩარდ III-დ წოდებული) გზავნის შესყიდულ ორ კაცის მკვლელს თავისი ძმის, გეორგ მთავარ კლარენსისა, მოსაკლავად. მკვლელები კლარენსს სკამზე მძინარეს მოუსწრებენ ოთახში. ერთ მკვლელს შიში შეიპყრობს და აშის გამო საუბრობენ. ამასობაში კლარენს გამოიღვიძებს, შემდეგ მთელ 6 გვერდზე წარმოებს მშვიდი ბაასი კლარენსს და ამ ორ კაცისმკვლელს შორის. ბოლოს, არა, ჩვენ მაინც ჩვენი ვალი უნდა შევასრულოთო და ერთი მათგანი ჩასცემს მახვილს მთავარს. ჩემი აზრით, ეს ადგილი გაუმართლებელია როგორც ფსიქოლოგიურად, ისე პრაქტიკულად". აქ იმის განსჯას ნუ მოვყვებით, კლასიკური ტრაგედიის (საერთოდ, ლიტერატურის) პოეტიკის მიხედვით არაფერია გაუმართლებელიო, ეს ჩანაწერები იმ მხრივაა საგულისხმო, რომ თანადროულმა მწერლობამ განსხვავებული ხერხები მოიმარჯვა სურათებისა თუ დიალოგებისათვის, უფრო შეკუმშა მოქმედებანი, მეტყველებაც უფრო დაუახლოვა რეალობას და დიმიტრი უთუოდ ამ ფონზე აღიქვამს იმ 6 გვერდს გაჭიანურებულად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არადამაჯერებლად ამიტომაც ეჩვენება. ასე რომ, მისთვის უცხო არ არის თანადროული სიახლენი.

ყველა ეს ჩანაწერი ერთმანეთთან არავითარ სიახლოვეს არ გამოამჟღავნებდა, რომ არა ინტიმურ გრძნობათა გამხელა, ის ლირიკული ნამცეცებიც, რაც თვითონაც ერთიანდება, ყველა ამ ჩანაწერსაც აერთიანებს და დღიურად წარმოგვიდგება: თავისებური აღნაგობის მცირე დღიურად (თარიღდება 1936 წლით).

„უმეტესი დრო ჩემი სიცოცხლის რაღაცას ვწუხვარ, და ჩემი თავი დაუდგრომელ ფიქრებს უპყრია. მაგრამ ყოველთვის შინაარსი ამ ფიქრებისა მხოლოდ ერთია. ერთმანეთს ებრძვის ორი პრინციპი: აზრი და გრძნობა. და მაშინაც კი, როცა ჩემი აზრის ჭკვიანობაში ეჭვი არ შემაქვს, გრძნობას ვენდობი, როგორც ნამდვილ ძმას, ბაწრის ხიდზედაც მე მას გავყვები, მაგრამ თუ იმან არ დამინდო, ცუდ დროს გაწყდა და ჭუჭყიან ადგილას დამაგდო, ჩემი გონება, რომელსაც გრძნობამ ანგარიში არ გაუწია, და კიდევ მეტი: ამ ბილწ საქმეში აქტიურად მოიმსახურა, ახლაც ღალატობს თავის თავსა და უსირცხვილოს დამცველის როლში მოევლინება. ასეთი არის ჩემი სიცოცხლის მიმდინარება" — ასე წარმოუდგენია დიმიტრის თავისი პიროვნული ხასიათის მთავარი თვისება და ცხოვრების შინაარსი, ასე ხელშესახებლად განიცდის საკუთარ არსებაში წმაფრ ჭიდილს გულის და გონებისა, რადგან ანალიტიკურად უკვირდება და ღრმად ჩაწვდომას ლამობს... სულიერი კონფლიქტი იმ უეცარი გამოფხიზლებით არის გამოწვეული, ჭაბუკის თვალწინ გარემომცველი სინამდვილე რომ გადაიშალა: პირველ კურსზევე გამოერკვა, თუ რა ხდებოდა გარშემო და ეს ისეთი დარტყმა გამოდგა, გაბრუებული დიდხანს გონს ვერ მოსულა. მხოლოდ მეორე წელს მოუხერხებია, უფრო მაღლიდან და უფრო შორს გადახედვა და უფრო მკაფიოდაც წარმოუდგა დამცირებული ყოფა და კიდეც შეესია მის გონებას ორი მღრღნელი ჭია: „გრძნობამ მოიხმო უღონო ჭკუა ანგარიშების გასასწორებლად. ახალგაზრდულმა თავმოყვარეობამ ითხოვა ჩემგან, რაც ეკუთვნოდა. ჭკუამ ურჩია მაინც თავისი და მოთმინება გულს დააკისრა. და აქაც გრძნობამ როგორც ყოველთვის გონებას სძლია და გაიტანა. წელს განდეგილად გადაქცეული, მარტოობაში თუ მეგობრებთან საუბრის დროს ჩემს უნებურად ოხვრა დამჩემდა. მაგრამ რა ვიცი, რამდენჯერაც არ ამოვიოხრე, ამ უსამართლოდ აგებულ ქვეყნის ჯავრები ერთხელაც ვერ ამოვაყოლე. და გადავწყვიტე მოვშორებოდი ერთი წლით თბილისს, რომ ჩემი თავი შემოჩვეულ ოხვრისაგან გადამერჩინა" (ყურადღება იმასაც მიაქციეთ, თუ როგორ აძლიერებს ექსპრესიას რიტმი).

რაოდენ მნიშვნელოვანი გახლდათ მისთვის ფიქრი, საკუთარი დანიშნულების ძიება, ეს ჩანაწერიც მოწმობს: „მეტად ნაყოფიერია საკუთარ ოთახში მუშაობა, სადაც არავინ არ არის. იმ დროს, რომელსაც იქ მყოფთან ოდნავი მნიშვნელობის მქონე, ხან სრულიად უმნიშვნელო ლაპარაკს ანდომებ, მარტოკა ყოფნის დროს კი ამ დროს ღრმა ფიქრში გაატარებ, რაც დიდი ნაყოფიერების მომტანია. ყოველ საკითხზე მოგიხდება დაფიქრება და საკუთარი შეხედულების შემუშავება, რომელიც განვითარების აუცილებელი პირობაა" (2.III).

სხვას კიდევ რას წერს?

„და ჩემი თავის, ჩემი ფიქრების, მაშინ თითონ მე შემეშინდება" (დაუთარიღებელია. ეს რომ ცალკე ფრაზაა და არა ლექსის დასაწყისი, იქიდან ჩანს, რომ ქვეშ თავისი ინიციალები მიუწერია, როგორც სხვა ჩანაწერებისათვის).

ან — „მთელი ჩემი ყურადღების, დროის, ფიქრის და ნიჭის ერთ მესამედს სიმღერა მართმევს" (6.VI).

ან — „მოუმზადებელი ნატომი, რომელიც უნარს აღემატება, უილაჯო და მავნებელია. დანიშნულ ადგილს მიუწევ, მაგრამ ვაი ამ მიწევას. დახტომისას სახსრები ვეღარ აიტანს ტანის სიმძიმეს, დახტები, მაგრამ ცხვირპირს დაიმტვრევ, ან სახსრები ბუდიდან ამოვარდება, ასეთი დიდი ნახტომის სურვილი უადგილო ან ნაადრევად სახიფათოა" (27.VI).

ან — „ერთხელ დედაჩემს უთხარ: დედი, ძველად თურმე მეცნიერს უთქვამს, მოვა ისეთი დრო, როდესაც ადამიანს უნდა გაიმარჯვოს ადამიანზე... ... ...

«არც ერთი ქართული მთავრობა ამას არასოდეს დაეთანხმება»

(რას ფიქრობენ თვითონ ოსები ცხინვალის რეგიონის შესახებ)

ერთმა განათლებულმა ოსმა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, იოანე იალღუზიძემ (გაბარაევმა), თავის დროზე ბრწყინვალე განათლება რომ მიიღო გარეჯის მონასტერში, ქართული ანბანის ბაზაზე შექმნა ოსური დამწერლობა.

„იალღუზიძის მიერ შექმნილმა დამწერლობამ თავისი დადებითი როლი შეასრულა, რადგან მან ხელი შეუწყო სამხრეთ ოსებში განათლებული ადამიანების გამოჩენას, განათლების გავრცელებას. თუმცაღა თვით იალღუზიძის სიკვდილის შემდეგ (1830 წ.) მისი დამწერლობის გამოყენება თითქმის მთლიანად შეწყდა. და აქ საქმე მხოლოდ ანბანის ხარისხსა და ღირსებაში როდი იყო; ერთის მხრივ, ცარიზმს არ სურდა, სამხრეთ ოსები მთლიანად გათქვეფილიყვნენ ქართველებში. ყოველ შემთხვევისათვის სამხრეთ ოსეთის შენარჩუნება სურდათ თავისებურ პლაცდარმად, საიდანაც შესაძლო იქნებოდა ჭირვეულ ქართველ მმართველთა მოშთობა“.

ა.ხ. გალახოვი, მ.ი.ისაევი, „ერები-ძმები, ენები-ძმები“, ორჯონიკიძე, 1987, გვ. 74—75.

* * *

„დარიალი წარმოსდგება სპარსული დარ— და ალან „ალანთა კარიდან“ (შეადარე ქართულ „ოვსთა კარს“). თუმცა თავად ოსები მას არვი-კომს უხმობენ, რაც „ცის ხეობას“, „ცისკენ მიმავალ ხეობას“ ნიშნავს. ამ დასახელებაში ისიც ჩანს, საიდან, რომელი მხრიდან მოვიდნენ ოსნი დარიალის ხეობაში. კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე ხეობისათვის „ცისკენ მიმავალი ხეობის“ დარქმევა მხოლოდ იმ ხალხს შეეძლო, ვინც ქვემოდან ზემოთ მოდიოდა, ჩრდილოკავკასიის ტაფობიდან ულელტეხილისკენ“.

ვ.ი.აბაევი, — ოსური ენა და ფოლკლორი, ტ.I, 1949 წ. გვ.47.

„... ისტორიული და ენობრივი ფაქტორები ამტკიცებენ, რომ ქსანის ოსების დასახლება ახლანდელი ქსნის ხეობაში არც ისე შორეულ წარსულში მომხდარა, მიახლოებით ბოლო ორას წელიწადში. ისინი მცირემიწიანობისა და სიღარიბის გამო გადასახლდნენ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის მაღალმთიანი რაიონებიდან...“

იქვე, გვ.501

* * *

სამხრეთის ოსებს თავიანთი ჩრდილოელი თანატომელებისაკენ რომ მიუწევთ გული, ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური მხრივ ეს შეცდომაა. კავკასიონის მთავარი ქედი — ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის, და ყოველგვარი ცდა ამ საზღვრის წაშლისა ქართველთა და ოსთა შორის პერმანენტულ კონფლიქტს გამოიწვევს. იმისათვის, რომ ამ ორ ხალხს შორის დამოკიდებულება ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში დავაბრუნოთ, უწინარეს ყოვლისა უნდა მორჩეს ლაპარაკი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის მოწყვეტის შესახებ. არც ერთი ქართული მთავრობა ამას არასოდეს დაეთანხმება და მართალიც იქნება, იმიტომ, რომ ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა...

ვისაც სამხრეთ ოსებსა და ქართველებს შორის მშვიდობა უნდა, სამუდამოდ უნდა უარყოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების იდეა. ვისაც საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობა სურს, მანაც უნდა თავი დაანებოს ამ იდეას. ასეთია რეალობა.

ვ.ი. აბაევი — სამხრეთ ოსეთის ტრაგედია; გზა თანხმობისაკენ. ოსეთის ჰუმანიტარული მეცნიერების პატრიარქის აზრი, „ნეზავისიმაია გაზეტა“, 22.01.92წ.

„მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, (იგულისხმება ჩრდილო ოსეთის ავტონომია — რედ.), სერგეი ხეთაგუროვმა ბრძანა: „სამხრეთ ოსეთში [illegible] ლები, რომელთაც ხელს არ აძლევს მშვიდობა. იმიტომ, რომ პასუხისგება მოუწევთ ჩადენილის გამო“. მან მტკიცედ უარჰყო ზოგიერთი სამხრეთოსელი ლიდერის (არის ასეთი ხალხი ჩრდილო ოსეთშიც) აზრი იმის თაობაზე, რომ „რუსეთი სამხედრო კონფლიქტში შევა საქართველოსთან“.

* * *

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არცთუ ისე ბევრია მეომართა რიგებში ჩადგომის მსურველი. მრავალი ახალგაზრდა კაცი ლტოლვილებიდან მტკიცედ დამკვიდრდა ვლადიკავკაზის საკოლმეურნეო ბაზრების სავაჭრო რიგებში... იური ბზაევმა მოიყვანა ასეთი მაგალითი. ახალგაზრდობის ლიდერმა ვ.გობოზოვმა — სამხრეთელმა, უკვე დიდხანს რომ ცხოვრობს ვლადიკავკაზში, ადგილობრივ ტელევიზიასთან მოაწყო ლტოლვილების დიდი მიტინგი, სადაც მოითხოვდა რუსეთის მხრიდან სამხედრო დახმარების გაძლიერებას ცხინვალში. კარგი, უთხრეს მას, ხვალვე ყველანი მიიღებთ იარაღს, წადით და დაიკავით მართალი საქმე (ისე დაუმშვენდათ გვერდები მაგათ! —რედ.).

მაგრამ „ხვალ“ იმ მომიტინგეთაგან შეკრების ადგილზე არავინ მისულა. თვით გობოზოვიც არ გამოცხადდა.

* * *

„რესპუბლიკის (იგულისხმება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა — რედ.) რუსული მოსახლეობა თავის ძმებთან ერთად ღრმად განიცდის სამხრეთ ოსეთის ტრაგედიას. მაგრამ ისევე, როგორც ოსეთის მცხოვრებთა უმეტესობა, სრულ უგუნურებად სთვლის რუსეთის შესვლას სამხრეთის დამოუკიდებელ ქვეყანასთან შეიარაღებულ კონფლიქტში“.

„როსიისკაია გაზეტა“, 15 ივნისი, 1992 წელი.

თარგმნა
ლუკა მაკაბელმა

ინფორმაცია

ა.წ. 8 ივლისს, 17 საათზე საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარეს არჩილ იოსელიანს განზრახული ჰქონდა ჩაეტარებინა მიტინგი კინომატოგრაფისტთა სახლთან, რის შესახებაც მან შესაბამის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს მიმართა.

საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი რეგისტრირებულია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, როგორც არჩევნებში მონაწილე ორგანიზაცია.

ბატონმა არჩილ იოსელიანმა მიტინგის ჩატარებაზე უარი მიიღო.

მიუხედავად ამისა არჩილ იოსელიანმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა საინფორმაციო მიტინგი.

პირებმა, რომლებმაც თავი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებად წარმოადგინეს, არ მისცეს შესაძლებლობა არჩილ იოსელიანს განზრახვის სისრულეში მოყვანისა.

არჩილ იოსელიანს დაუხიეს მიტინგისათვის განკუთვნილი პლაკატები, უხეში ძალის გამოყენებით მანქანაში შეაგდეს და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების თქმით მილიციის სამმართველოში წაიყვანეს.

ამირან დოლიძე

08.07.92.

ამ ორიოდე კვირის წინ ჩვენ ვწერდით, რომ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას და მათ დასაცავად იქ შესულ ეროვნული გვარდიის ნაწილებს დიდი გაჭირვება ადგათ მედიკამენტებისა და შესახებავი მასალების უქონლობის გამო.

რამდენიმე დღის წინ ეროვნული გვარდიის მეღვრეკისის შტაბში რესპუბლიკის საავთიაქო სამმართველომ 70 ათასი მანეთის მედიკამენტები და შესახვევი მასალა ჩაიტანა ჰუმანიტარული დახმარების მიზნით. როგორც ამ სამმართველოს უფროსმა **მამუკა გორგოძემ** გვითხრა, ასეთ ლონისძიებებს სისტემატური ხასიათი ექნება, რომ აქამდე არსებული გაჭირვება გაურკვევლობის შედეგი იყო და არავის ენა არ მოუბრუნდება წამლებზე უარი უთხრას სამაჩაბლოში მებრძოლ გვარდიელებსა და მკვიდრ მოსახლეობას. რედაქცია მადლობას უხდის რესპუბლიკის საავთიაქო სამმართველოს გამოჩენილი გულისხმიერებისათვის და იმედოვნებს, რომ ჰუმანიტარული დახმარება მომავალშიც გაგრძელდება.

პატივი ვცეთ დედაენის ზმნისწინებს

საქართველოს N ქალაქის NN სკოლის NNN საგნის მასწავლებელი საინტერესო აზრს გვაწოდებს: ხომ არ გამოვიყენოთ ქართული ენის სიმდიდრე პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში ისეთ ცნებათა განსასხვავებლად, რომელთაც სხვა თანამედროვე ენებში ვერ ასხვავებენ? მაგალითად, ევროპულ ენებში სიტყვა „კუ“, რუსულში კი სიტყვა „პერევაროტ“ ეწოდება ხელისუფლების ყველა ნაძალადევ შეცვლას —პირველსაც, მეორესაც, მესამესაც და მეთერთმეტესაც. ქართულ ენაში შეგვიძლია სხვადასხვა ზმნისწინების გამოყენება. შეგვიძლია ტერმინოლოგიურად გავარჩიოთ ამგვარი სახელმწიფო აქტები იმისდა მიხედვით, კენტი ნომერი მოუწევთ თუ ლუწი. პირველთ ვუწოდოთ „სახელმწიფო გადატრიალება“, მეორეთ კი — „სახელმწიფო გადმოტრიალება“.

ხდება ისე, რომ სახელმწიფო ყველანაირად უწყობს ხელს ვაჭრებს, რათა ხალხი კუდის რიკამდე ძარცვონ და ატყაონ, რადგან გამყიდველის ხელფასი ვერა და ვერ გადასცილდა 600 მანეთს. 600 მანეთით კი გაჭირვებით შეიძლება შეინახო ოჯახი 6 დღეს. რა ქნას ვაჭარმა დანარჩენი 24 დღე? რა და, ხალხი უნდა ძარცვოს. მაგრამ ვაჭრები ახლა იმაზე ჩივიან, რომ საძარცვავი აღარაფერი და აღარავინ არის, და აღარც დახლებზე დევს გასატანი არაფერი.

დავუჯეროთ ილია ჭავჭავაძეს

გურამ პეტრიაშვილი

დიდ ილიას აქვს ერთი წერილი, რომელიც მის დიდებულ კრიტიკულ ნააზრევშიც კი გამორჩეულია.

შეიძლება ითქვას, რომ ამ წერილით ილია ჭავჭავაძემ დაგვიტოვა ბრძნული ანდერძი, თუ როგორ უნდა იქცეოდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმული ადამიანი.

წერილს ჰქვია „კრიტიკა სანთურია ლიტერატურისა“ და დაწერილია 1898 წელს.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, მას შემდეგ ყოველ თაობას გულში რომ ჩაებეჭდა ეს წერილი, უამრავ უბედურებას ავიცილებდით თავიდან.

ილიას ამ წერილიდან ციტატებს ჩემს სხვა წერილებშიც შეხვდებით და ნუ გაგიკვირდებათ. ჰეშმარიტებათა ხშირად გამეორება, ვფიქრობ, სასარგებლოა.

აბა მოვუსმინოთ:

„... პირველი ნიშანი საზოგადოების ასაკოვნებისა და აღმატებულობისა, სხვათა მრავალთა შორის, ის არის, რომ საზოგადოება სხვისის აზრის შეწყნარებამდე ტანში იყოს გამართული.“

ილიას არ უყვარს მიკიბ-მოკიბვა.

მან პირდაპირ გვითხრა, თუ გინდათ, რომ წესიერი საზოგადოება გერქვათ, სხვისი აზრის შეწყნარება უნდა შეგეძლოთ.

კი მაგრამ, რას ნიშნავს სხვისი აზრის შეწყნარება?

აი, როგორ უბრალოდ წერია: „შეწყნარება დაჯერებას კი არ ჰნიშნავს, გინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომლითაც უნდა მოექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს.“

პატივი უნდა ვცეთ სხვის აზრს. „ამაში ჩანს ჩვენი ზნეობა. სხვის პიროვნებას როცა ვაღიარებთ, ამით ჩვენი პიროვნება წარმოჩინდება კაცად.

ვინმე იკითხავს, კი, ბატონო, მინდა რომ სხვის აზრს პატივი ვცე, მაგრამ როგორ უნდა მოვიქცე ამისთვის? რაში გამოიხატება სხვისი აზრის პატივისცემა?

სწორი კითხვაა. მართლაცდა, როგორ უნდა მოვახერხოთ სხვისი აზრის პატივისმცემლად ანუ შემწყნარებლად გადაქცევა?

თუ მოისურვებთო ძალიან ადვილად მოახერხებთო გვეუბნება დიდი წინაპარი და ყოველად უბრალო და ამდენადვე გენიალურ ხერხს გვთავაზობს:

„პატივით მოქცევა კიდევ იმას ჰქვიან, რომ მთქმელს, თუ გამკითხველს საბუთი გაუჩრიკოთ, საბუთი აუწონოთ თქვენს საკუთარ სასწორზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდოთ და მისაწყაი ისე მიუწყათ.“ (ხაზგასმა ყველგან ჩემია — გ.პ.)

ჰხედავთ?

ილიას თუ დავუჯერებთ (მაშ ვიღას უნდა დავუჯეროთ?), სხვისი აზრის შემწყნარებელი ყველა შეგვიძლია გავხდეთ. ამას სჭირდება მხოლოდ სიდინჯისა და მოთმინების უნარი.

აი, მაგალითად, შევესწარით რაღაც კამათს და ჩვენც გვინდა ჩავებათ. როგორ უნდა მოვიქცეთ? უნდა მოვუსმინოთ მოკამათეებს და გავიგოთ, თუ რა საბუთები აქვთ მათ თავიანთი მოსაზრებების დასამტკიცებლად. მერე მათი საბუთები უნდა ავიღოთ და, როგორც ილია გვასწავლის, ჩვენს სასწორზე ავწონოთ, ესე იგი, ჩვენი საბუთები დავუპირისპიროთ.

როგორც ჰხედავთ, ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების შეუწყნარებლობის სენისგან განკურნებაც და ბოლოს და ბოლოს ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩხუბისა და აყალმაყალის ნაცვლად მშვიდობიანი, საქმიანი კამათის დამკვიდრებაც ერთ უბრალო რამეზე ყოფილა დამოკიდებული — საბუთზე, არგუმენტზე.

ჩვენც საბუთიანად უნდა ვილაპარაკოთ და სხვასაც საბუთები ავუწონოთ. ესაა და ეს.

მოდით მოვიქცეთ ასე. დავუჯეროთ ილია ჭავჭავაძეს. და გვეშველება: შეწყდება ჩხუბი და დავიდარაბა და სიმშვიდე დაისადგურებს.

მაშინ აღარც გაუგებრობა მოხდება, აღარც უსიამოვნება და აღარც უბედურება.

ერთი ამბავი უნდა მოვიტანო მაგალითად.

ამ ამბავს ორი მთავარი მოქმედი პირი ჰყავს:

ერთია ქალბატონი ლიანა ისაკაძე.

მეორე — მე ვარ.

1989 წლის 4 დეკემბერს გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი ქალბატონ ლიანა ისაკაძეზე.

ამ ფაქტში თითქოს უჩვეულო არაფერი იყო: მწერალმა დაწერე წერილი მუსიკოსზე. თანაც მუსიკას მხოლოდ იმით შევეხე, რომ ვთქვი, ბრწყინვალე მუსიკოსია ქალბატონი ლიანა-მეთქი.

მაგრამ რაც ჩემს წერილს მოჰყვა, არა მგონია მსოფლიო კრიტიკის ისტორიაში როდისმე ასეთი რამ მომხდარიყოს.

— რაო? ლიანა ისაკაძე გააკრიტიკაო? — იჭუხა აღშფოთების ტალღამ, აგორდა, აგორდა და ბოლოს იქცა არც მეტი, არც ნაკლები ერთ-ერთ ბრალდებად ჩვენი ხელისუფლებისადმი: კულტურის მოღვაწეებს სდევნიდნენ, საქართველოდან აძევებდნენო.

ერთი პატარა წერილისთვის, რომ ორ წელიწად ნახევარს ადამიანს თათხავდნენ და ბოლოს მთელ ხელისუფლებას ის წერილი ბრალდებად წაუყენონ, განა ეს არაა საოცარი ამბავი?

არა, სულაც არა, — ვუპასუხებ ჩემს თავს.

ეს მოსალოდნელი იყო.

აბა ნახე რას ამბობს ილია:

„საცა ჩვეულ არ არიან ასეთის პატივით მოექცნენ სხვის აზრს, იქ კრიტიკა მშვიდობიანი სამსახური კი არ არის საზოგადოების წინაშე, არამედ თავის გამომეტებაა სალანძღავად, საჭიშპოდ, ჭუჭყისა და ჩირქის მოსაცხობად და ამასთან თვით ხმაც კრიტიკისა ღაღადებაა უდაბნოში.“

რატომაა ასე?

ილიასავე სიტყვებით შეგვიძლია დავსძინოთ:

„ყოველივე ეს არის ჩვენში იმიტომ, რომ სხვისა აზრის შეწყნარებამდე ჯერ არ ავლზრდილვართ.“

ჩვენი საზოგადოება რომ სხვისი აზრის შემწყნარებელი ყოფილიყო, ჩემს წერილს არავითარი აჟიოტაჟი არ მოჰყვებოდა.

აიღებდნენ ჩემს წერილს ოპონენტები და, როგორც ილია ამბობს, საბუთებს გამიჩხრეკდნენ და ამიწონიდნენ.

მაგრამ ასე არ მოიქცნენ ისინი.

აჰყვნენ თავიანთ გრძნობებს და რადგან გრძნობები თავისთავად კეთილშობილური ჰქონდათ (ლიანა ისაკაძისა და ქართული მუსიკის სიყვარული), თავს უფლება მისცეს, ისე ველანძღე, როგორც ენებათ.

და მივადექით მთავარ დაბრკოლებას, რომელიც პირადულად ხელს გვიშლის, რომ სხვისი აზრის შემწყნარებლები ვიყოთ, ხოლო საზოგადებრივ ცხოვრებაში მშვიდობის დამყარებას უშლის ხელს.

ეს დაბრკოლება ის გახლავთ, რომ გრძნობებს ვართ აყოლილები და თუ კაცი ერთხელ მოწინააღმდეგედ მივიჩნიეთ, შემდეგ მისდამი მხოლოდ ბრმა გაბოროტება და სიძულვილიღა ძალგვიძს გვქონდეს.

ეს თვისებაც მონობაში დიდხანს ცხოვრებამ დაგვიტოვა.

მონას გაბოროტებით სძულს მეორე მონა, იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთის მოცილეები არიან. გასაყოფი აქვთ ვიწრო საკნის ფართობი, აღგილი გისოსებიან ფანჯარასთან, საიდანაც ცა ჩანს, სალაფავი, რომელსაც საერთო როფში უსხამენ.

შინაგანად თავისუფალი ადამიანი მეორე ადამიანს უცქერის, როგორც მოსალოდნელ ძმას და მეგობარს.

სხვა გზა არა გვაქვს, უნდა ვაჯობოთ ჩვენს გრძნობებს.

თუ კაცი ჩვენი მოწინააღმდეგეა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის მთლად ნაკლოვანებებისაგან და სიცუდისაგან შედგება.

და არც ჩვენი მომხრე, მარტო იმის გამო, რომ მომხრეა, არ უნდა გვეგონოს სიკეთის განსახიერება.

ბევრისთვის დიდხანს ვიყავი კაცი, ვინც სამშობლოდან გაძევება ბრწყინვალე მუსიკოსი ლიანა ისაკაძე.

და აჰა, აი, ახლა 19 ივნისს გაზეთ „საქართველოში“ პირველ გვერდზე რომ წავიკითხე ქალბატონი ლიანას ამბავი, ცრემლი მომადგა თვალზე.

უცნაურია ადამიანი. ორ წელიწად ნახევარს უსამართლოდ რომ მიბაგუნებდნენ არ მიტირია და ახლა კი, როცა ჩემი უდანაშაულობა დადასტურდა ცრემლები წამომივიდა.

მკითხველი ალბათ სხვა სისუსტესაც მაპატიებს. კერძოდ კი იმას, რომ ძალიან მინდა ჩემი სიმართლის საბუთი აქ მთლიანად გადმოვბეჭდო და ამით უსაზღვრო მადლობაც ვუთხრა ამ ხელმოუწერელი სიტყვების ავტორს:

„ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ ქალბატონ ლიანა ისაკაძესთან. ლიანა ისაკაძე გერმანიაში ცხოვრობს და ეს ინტერვიუ თბილისიდან ტელეფონის ზარით შემდგარა.

კორესპონდენტი ეკითხება ქალბატონ ლიანას:

— დაბრუნებას როდის აპირებთ?

ხელოვანი პასუხობს:

— სამწუხაროდ, მომავალი წლის მარტ-აპრილამდე ვერ ჩამოვალ, არადა, ყველა ძალიან მენატრებით. მენატრება ჩემი სამშობლო.

ქალბატონ ლიანას ვუდასტურებთ ჩვენს დიდ პატივისცემას და სრული გაგებით ვხვდებით მის გადაწყვეტილებას, კიდევ ერთი წელი დაჰყოს უცხოეთში, მაგრამ გვინდა ნათელი მოვფინოთ ერთ გაუგებრობას.

თუ ლ. ისაკაძე მართლა იძულებით გადაიხვეწა სამშობლოდან, ახლა რა უშლის ხელს უკან დასაბრუნებლად?

მისი „გამძევებლები“ ხომ პოლიტიკურ ასპარეზზე აღარ არიან?

სხვათაშორის „იძულებით გადახვეწილი“ სხვა პირებიც ჯერჯერობით არ აპირებენ თბილისში ჩამობრუნებას. აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, ჩვენი ხელოვანნი სამშობლოდან არავის გაუძევებია. ისინი შემოქმედებითი ნიჰისა და ცხოვრების გასაფურჩქნად გაემგზავრნენ უფრო დალხენილი ყოფის მქონე ქვეყნებში“...

ყოველივე ამის დამწერო, ჩემო უცნობო ძმაო, როგორ არ ვიტირო მადლიერმა და გახარებულმა, როცა ბოლოს და ბოლოს წავიკითხე ქართულად დაწერილი, რომ არავინ გამიძევებია სამშობლოდან.

ჩემთვის მთავარი ის კი არაა, რომ პირადად მე მდებდნენ ბრალს ხელოვანთა გაძევებაში, არამედ ის, რომ ამ ვითომგაძევებულებს საბუთად იყენებდნენ, ზვიად გამსახურდიას დიქტატურა აქვს დამყარებული და ქვეყნიდან აძევებს ხელოვან ხალხსო.

მაინტერესებს ან იმათგან, ვინც ზეპირად, წერილობით თუ ტელეფონით მლანძღავდა, ან იმათგან ვინც პრესაში თუ რადიო-ტელევიზიით ჩვენს პრეზიდენტს ბრალს სდებდა ხელოვანთა გაძევებაში, ერთი კაცი მაინც თუ აღმოჩნდება ისეთი, რომელიც ბოდიშს მოიხდის, შემეშალაო?

თუ აღმოჩნდა ასეთი კაცი, ეს იმას ნიშნავს, რომ წინ მივდივართ და ნამდვილად გვეშველება ადრე თუ გვიან.

არადა, რა ადვილი იყო თავშივე მოჰფენოდა ნათელი ყველაფერს.

ამისთვის საჭირო იყო ჩემი ოპონენტები მორეოდნენ ჩემდამი, როგორც მოწინააღმდეგისადმი გაბოროტებას და სიძულვილს და გადაეშალათ ჩემი წერილი.

გადაეშალათ და წაეკითხათ, თუნდაც ეს ადგილი:

„თქვენი ვალია ჯერ იმაზე კი არ იფიქროთ, რომ შორეულ მაძღარ და აყვავებულ ქალაქ ვენაში გჭონდეთ მუსიკალური სკოლა, არამედ იმაზე, რომ სკოლები ჯერ მარნეულში და ბოგდანოვკაში გახსნათ და იქაურ ქართველ ბავშვებს თქვენი ხელოვნებით და თქვენი ავტორიტეტით მხნეობა ჩაჰბეროოთ“ (კრებული „როცა თქმა სჯობს არათქმასა...“, მერანი, 1990 წ., გვ. 185).

მავანთა და მავანთ სურთ პრეზიდენტის ხელისუფლება ქართული კულტურის მტრად გამოიყვანონ. გასაგებია, თუ რისთვის ხდება ეს. ქართული კულტურის მტრები თუ გამოგვიყვანეს, ყველა იტყვის, დასამხობი ყოფილა ეგ ხელისუფლებაო. მიზანი გასაგებია, მაგრამ ძნელად შესასრულებელია, რადგან ოპონენტებს საბუთები არა აქვთ.

თუ რომელიმე ოპონენტს მიაჩნია, რომ აქვს საბუთები ჩვენი ხელისუფლებისგან ქართული კულტურის მტრობისა, მზადა ვარ ვეპაეჭრო ნებისმიერ ასპარეზზე: პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში.

ვიპაეჭროთ, ოღონდ საბუთებით.

დავუჯეროთ ილიას.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს, არა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე გამარჯვება, არამედ საზოგადოების აღმატებულობა. სხვისი აზრის შემწყნარებლობის გარეშე კი ეს არ გამოვა.

რედაქციისაგან:

ქვეყანა იქცევა, მაგრამ პეტრიაშვილი კი რატომღაც არ ცდილობს ე. წ. შეიარაღებულ „ზვიადისტებს“, რომელნიც მას ალბათ ნაწილობრივ უჭერენენ კიდეც, მიმართოს მოწოდებით, რომ შეწყვიტონ შეიარაღებული კონფრონტაცია. კი, ბატონო გურამ, წერილიც უნდა დაიბეჭდოს თქვენი, მისაღები აზრები უნდა მივიღოთ კიდეც, მაგრამ ნუ დადუმდებით მთავარზე.

სხვისი აზრის შემწყნარებლობა რომ კარგია, ამას რა დიდი აღმოჩენა სჭირდება, მაგრამ თქვით ისიც ბოლო წლებში ვისგან და სიიდან დაიწყო სხვისი აზრის შეუწყნარებლობა, ისიც რა შედეგამდე მიგვიყვანა ამან.

თქვენი მომხრეები თავს არ დებენ გურამ ბატონო, აი, ამაზე თქვით თქვენი აზრი, ახლა კუკუმალულობანას დრო არ არის.



ფეხსაცმელი სისხლის წილ

ვიტებსკის ოლქის ქალაქ სენოში 400 გრამი სისხლისთვის დონორებს ფირმა „ბელვესტის“ ფეხსაცმლის ბარათები უფეშქაშეს.

ადგილობრივმა აღმასკომმა ამ გადაწყვეტილებით სცადა, დახმარებოდა რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოს, რომელიც საოპერაციო სისხლის უქონლობის გამო მთლიანად გაჩერებული იყო.

გადაწყვეტილება ეფექტური აღმოჩნდა: რამდენიმე ასეულმა დონორმა მეორე დღესვე გაილო სისხლი, ფეხსაცმლის წილ.

ქურდულ სიტყვათა ლექსიკონი

ტოუმენის ერთ-ერთმა მცირე საწარმომ გამოსცა ქურდულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი.

მართალია, წიგნის შემდგენელთა ვინაობა უცნობია, მათი პროფესიონალიზმი ეჭვს არ იწვევს.

თავად განსჯეთ, ლექსიკონში შავი სამყაროს თითქმის ყველა გავრცელებული ჟარგონია თავმოყრილი.

ალბათ უცნაურად არ მოგვეჩვენება, რომ ქურდულ სიტყვათა კონამ, უწინარეს ყოვლისა, მილიციის მუშაკები დაინტერესა.

სახიფათო ხუმრობა

ვოლოგდა-ლენინგრადის რეიხის თვითმფრინავის მგზავრთა შემოწმების დროს ასეთი ინციდენტი მოხდა. ნახიმოვის სამხედრო სასწავლებლის კურსანტმა ანდრეი ჩერნიავსკიმ, სატრანსპორტო მილიციის მუშაკთა თანდასწრებით ხუმრობით გადაულაპარაკა გვერდით მდგარ მამაკაცს: „როგორაა საქმე, მამილო, მივფრინავთ ჰელსინკში, თუ არა?“

ხუმრარას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მილიციის მუშაკებმა უცებ გაძაგრეს და ფეხის ფრჩხილებამდე გაჩხრიკეს. მოუხედავად იმისა, რომ საეჭვო არაფერი აღმოჩნდა, ყმაწვილს მგზავრობის უფლება არ მისცეს.

ოუმორის ნიშს მოკლებულმა წესრიგის დამცველებმა ესეც არ აკმარეს მომავალ ოფიცერს და ისეთი წერილი გაუშნაღეს სასწავლებლის ხელმძღვანელთა სახელზე, რომ კი მწერალ-დეტექტივსაც შეშურდებოდა.

სამწუხაროდ, ჩერნიავსკის აღმზრდელ-მასწავლებლებიც ხუმრობაზე გამწყრალი აღმოჩნდნენ და „ტერორისტ“ ოპერატიულად გარიცხეს სასწავლებლიდან.

მამაკაცები სახელშეკრულებო ფასით

„სახელშეკრულებო ფასით, ერთი ღამით ქირავდება 28 წლის, ქერა, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. დარეკეთ ყოველ დღე 18-დან 20 საათამდე. იკითხეთ საშა“.

ასეთი შინაარსის განცხადება გამოჩნდა ჭბრესტის ქუჩებში და საცხოვრებელი სახლების კედლებზე. ყველას გასაოცრად, ეს ვინმე საშა ფეხის ქირად სულ რაღაც 25 მანეთს ითხოვდა.

ერთი წლის წინ ანალოგიური განცხადება დიდი ტირაჟით გავრცელდა მოსკოვშიც. ოღონდ, ამ შემთხვევაში, მამაკაცს საკუთარი ცოლი აქირავებდა! ბუნებრივია, ცოლის მიერ გაქირავებული „საქონელი“ ერთი ორად მეტი —100 მანეთი ღირდა.

ერთი სიტყვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანიან მამაკაცთა დასაქმების პრობლემა რთული მოსაგვარებელი არ უნდა იყოს.

მოამზადა ს.იმერმა

„ქართული ენა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ახლახან მესამედ გამოსცა დოც. **ოთარ გაჩეჩილაძის** დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო „ქართული ენა“, რომელიც განკუთვნილია აბიტურიენტებისათვის (რედაქტორი პროფ. ალ. ღლონტი, ტირაჟი 15000, 383 გვ).

წიგნი პირველი გამოცემისთანავე (1985წ) ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. და ქართული ენის შესწავლითა და მისი სწავლებით დაინტერესებული საზოგადოების ფართო აღიარება ჰპოვა. სახელმძღვანელო არა მარტო აბიტურიენტების სამაგიდო წიგნია, არამედ მისით სარგებლობენ საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, სტუდენტობა.

წიგნი შედგება ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის ნაწილებისაგან.

სახელმძღვანელო უდაოდ ამართლებს თავის პრაქტიკულ დანიშნულებას ჩვენი მშობლიური ენის გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური) ფაქტებისა დ მოვლენების, მათთან დაკავშირებული ორთოგრაფია — ორთოეპიის, პუნქტუაციის, ლექსიკოლოგია — სტილისტიკის საკითხების საფუძვლიანად დასაუფლებლად, მათ სრულყოფილად შესასწავლად. მოხმობილია გონივრულად შერჩეული მდიდარი საილუსტრაციო— სავარჯიშო მასალა (ძირითადად მხატვრული ძეგლებიდან), შემუშავებულია დიდაქტიკის პრინციპებიდან გამომდინარე ამ მასალათა დალაგების მწყობრი სისტემა თეორიული და პრაქტიკული საკითხების სწავლების ერთიანი კანონზომიერების დასაცავად, გრამატიკის სწავლების აქტიური გზების, მეთოდებისა და ხერხების (განსაკუთრებით შედარება- შეპირისპირების) გამოყენებით. სახელმძღვანელოზე მომუშავე მკითხველისათვის საინტერესო, მისაწვდომი და შედარებით იოლად დასაძლევი ხდება გრამატიკის რთული და მრავალფეროვანი კატეგორიები, მორფოლოგიური ფორმები თუ წინადადებათა სინტაქსური სტრუქტურები, მათთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები.

წიგნზე სხვადასხვა დროს საინტერესო და ვრცელი რეცენზიები გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში: დოც. მიხეილ რეხვიაშვილისა გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (15.I.1986წ.), პროფ. გივი ნებიერიძისა „ თბილისში“ (26.IV. 1991წ) და სხვა. რეცენზენტები მაღალ შეფასებას აძლევენ ოთარ გაჩეჩილაძის დამხმარე სახელმძღვანელოს „ქართული ენა“, მეტად მნიშვნელოვან მოვლენად თვლიან მას ქართული ენის სწავლების ახლებური კუთხით გასაშუქებლად.

ჩვენც ვუერთდებით პატივცემული კოლეგების აზრს სახელმძღვანელოს მაღალი შეფასების დასადასტურებლად და კმაყოფილებას გამოვხატავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მისამართით, რომელმაც ქაღალდის მწვავე დეფიციტის პირობებში შეძლო წიგნის შედარებით დიდი ტირაჟით გამოცემა.ამავე დროს იმედს გამოვთქვამთ, რომ გამომცემლობის ხელმძღვანელობა კვლავაც გამოიჩენს მისთვის ჩვეულ ზრუნვას ესოდენ საჭირო წიგნის შემდგომი გამოცემისათვის.

პროფ. თ. სანიკიძე

ფირმა «მარეთი»

ბიჭვეთ დასასვენებლად

ბორჯომში, ციხისძირში, და სხვა კურორტებზე
ქობულეთში, ფასანაურსა

განლაგებულ დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, პანსიონატებსა და ტურისტულ ბაზებში.

საგზურების ფასები ნვენთან ყველაზე დაბალია, მათი რაოდენობა მეტად შეზღუდულია. ნუ დაიყოვნებთ მათ შეძენას!

ფირმა „მარეთი“ იძლევა კარგი დასვენების გარანტიას .

ჩვენი მისამართია.:

ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას პრ.45 მე-13 სართ. ოთახი I (მეტრო „დელისთან“ — „საქსოფშშენის“ მაღლივი შენობა) ტელეფონი 31—47—76

ბორჯომის საგზურების შეძენა შეგიძლიათ
ქ.ბათუმის რკინიგზის ყაგზლის შენობაში საკომისიო-ყაჭრობის მაღაზია „გვანცა-2“-ში.

სიტყვა

საინფორმაციო გაზეთი

№ 1 / 1991 წ. 1 ივნისი

გამოდის ოთ. კვირაში ერთხელ

ფასი 5 მან. 50 კაპ.

დაიბადა კიდევ ერთი ახალი, საინფორმაციო გაზეთი „სიტყვა“ (გამომცემელი: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სარედაქციო-საგამომცემლო სამსახური).

მისასალმებელია ამ გაზეთის პოზიცია, რომელიც რედკოლეგიის წინასიტყვაობაშია გაც ადებული: „... ჩვენი გაზეთი კი თანდათან, უფრო უკეთ და უკეთ იტყვის თავის სათქმელს; ტვირთის ზიდვაში მხარს შეაშველებს გამოცდილ, მრავალჭირნახულ, მრავალფეროვან, ტრადიციებით ფეხმომაგრებულ „საქართველოს“ და სხვა გაზეთებს, სიტყვას გადააგდებს ერში, წარმოადინებს, „კოკაია შიგან რაცა დგას“, გაუფრთხილდება მწერლის, პიროვნების, ადამიანის ღირსებას, ხელს შეუწყობს ერის გაერთიანებას, გასულდგმულებას, პირისაგან ღვთისა გამოსული სიტყვით მის დაპურებას...“

მკითხველი გაზეთში გაეცნობა ნოდარ დუმბაძის 1948—1954 წლებში დაწერილ ლექსებს და ლია სტურუას „ტირილის პოემას“, ოთარ ჩხეიძის მოთხრობას „ბრილიანტი ანუ ჯადა მტირალი წყლისა პირსა“, რეზო კვესელავას „ელეგიას“, ფსალმუნებს (მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი), ევრიპიდეს „მედეა“-ს დასაწყისს (მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე).

გაზეთი „საქართველო“ ულოცავს „სიტყვას“ ძნელი გზის საინტერესო დასაწყისს და უსურვებს, რომ ახალი ხმებით გაემდიდრებინოს ქართველი ხალხის სულიერი საგანძური.

საქართველოს მწერალთა კავშირის
თარგმანის საგამომცემლო ცენტრი

„ხომლი“

გთავაზობთ!

„დეტექტივის კრიალოსანი“— 6 ტომად

1. ჯეიმზ ჰედლი ჩეიზი — „დათარსული კაცი“
2. იენ ფლემინგი — „დოქტორი ნოუ“ (სერიიდან ჯეიმზ ბონდი — აგენტი მკვლელობის ლიცენზიით)
3. რეიმონდ ჩანდლერი — „ბეისიტის რეგთაიმი“
4. პიუ პენტიკოსტი — „ოტელი ბოიონტი“
5. დეშილ ჰემეტი — „დეინთა მოდგმის აპი ბედისწერა“
6. მორის ლებლანი — „ვეფხვის კბილები“

აგრეთვე ჯორჯ სიმენონის, ჯონ დიქსონ კარის, ედგარ უოლესის, აგათა კრისტის, ჯეიმზ ტერბერის, ჰენრი სლეზარის, ართურ პორჯესისა და სხვათა რჩეული მოთხრობები.

პრინციპული შენიშვნა: შეიძლება კაცმა იკითხოს, მაშინ, როცა ჩვენი წიგნის ბაზარი ისედაც წალეკილია საეჭვო ღირებულების გამოცემებით, საქართველოს მწერალთა კავშირის საგამომცემლო ცენტრს, რომელიც მოწოდებულია მსოფლიო ლიტერატურის მაღალმხატვრულ ნიმუშებს აზიაროს ქართველი მკითხველი, რა აიძულებს ისედაც უკვე სახელგატეხილი დეტექტივებისა და ტალონების გამოშვებას? ლამის მოარულ გამოთქმადაც კი იქცა — ეგეთი ლიტერატურა ქართულად „არ იკითხებაო“—

მართალია, სწორედაც რომ არ იკითხება! ოღონდ ქართული ენის ბუნება აქ არაფერ შუაშია — მიზეზი უფრო ქართული თარგმანის (ქართულად მთარგმნელთა) ხასიათში უნდა ვეძებოთ, კარგად თარგმნილი კი ყველაფერი კარგად იკითხება — სხვათა შორის, დეტექტივიც!

გპირდებით — ამაში ჩვენი სერიით დაინტერესებული მკითხველი თავად დარწმუნდება!.

მისამართი:
ქ.თბილისი, ლესელიძის ქ.№ 4

ინფორმაცია

მიმდინარე წლის 3 ივლისს შედგა ქ.თბილისის ისნის რაიონის სახალხო ფრონტის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც აირჩია გამგეობა. გამგეობის წევრებად არჩეულნი არიან ვასილ შარაბიძე, ზაურ ცერცვაძე, გიორგი საღარეიშვილი, ირაკლი ხმალაძე, ზურაბ ვადაჭკორია, ნათელა მამულაშვილი, ხვიჩა გრიგალაშვილი, ჯემალ ოტიაშვილი, როლანდ ბარბაქაძე, ლიზა ძიძიგაშვილი, უშანგი დემურაშვილი.

სახალხო ფრონტის ისნის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ვასილ შარაბიძე, თავმჯდომარის მოადგილედ ზაურ ცერცვაძე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შემდგომ მისამართზე: ქედის კომუნის, 3, № 29 სახლმმართველობის შენობა (წმინდა ბარბარეს ეკლესიის უკანა მხარეს). ტელ: 74—22—71, 74—22—57.

ინდექსი 66447

ფასი 3 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ნოდარ
გრიგალაშვილი